

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა – არქეოლოგია

საბა ბუგიანიშვილი

კერამიკული წარმოების სტანდარტები გრაკლიან გორაზე

(გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის ხანასა და აქემენიდურ პერიოდში)

ნაშრომი შესრულებულია არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი – ვახტანგ ლიჩელი,

ისტორიის დოქტორი, თსუ პროფესორი

თბილისი

2019

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Humanities,

Master's Program – Archaeology

Saba Bugianishvili

Standards of pottery production at Grakliani Gora

(The Late Bronze - Early Iron Age and The Achaemenid Period)

The research paper has been completed in order to obtain Master's Academic
Degree in Archeology

Supervisor of the work – Vakhtang Licheli,

Doctor of History, TSU Professor

Tbilisi

2019

ანოტაცია

ნაშრომი წარმოადგენს გრაკლიან გორაზე არსებული კერამიკული წარმოების სტანდარტების დადგენის მცდელობას, გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის ხანასა და აქემენიდურ პერიოდში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად გამოყენებულია, როგორც ნამოსახლარის, ასევე სამაროვნის ტერიტორიაზე მოპოვებული კერამიკული მასალა. კერძოდ ის ერთეულები, რომლებიც მეტ-ნაკლებად მთლიანი სახით არის შემორჩენილი და ჭურჭლის მოცულობის დადგენის საშუალებას იძლევა. სწორედ მოცულობაა აღებული მთავარ საკვლევ ობიექტად, ვინაიდან მოცულობის დადგენილი ერთეულების არსებობა საზოგადოებაში, უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს და მისი განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს. მოცულობასთან ერთად განსაზღვრულია თითოეული ჭურჭლის სხვა მეტრული მახასიათებლებიც. განხილულია მათი მორფოლოგიური მახასიათებლები, რის მიხედვითაც გამოყოფილია გარკვეული ჯგუფები. აგრეთვე მოცემულია ზოგადი სტატისტიკური მონაცემები. არის მცდელობა გარკვეული კანონზომიერების დადგენისა. აღნიშნული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, არსებობდა თუ არა დროის მოცემულ მონაკვეთებში გრაკლიან გორაზე კერამიკული წარმოების განსაზღვრული სტანდარტები და თუ რა კავშირშია ამ ორი პერიოდის სტანდარტი ერთმანეთთან. ასევე, ავლენს თუ არა ისინი საერთო ნიშნებს მეზობელ რეგიონებში დამკვიდრებულ სტანდარტებთან. ეს ყველაფერი დაგვეხმარება დავინახოთ განვითარების რამდენად მაღალ საფეხურზე იდგა გრაკლიანი გორისა და ზოგადად აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა აღნიშნულ პერიოდში. ნაშრომის აქტუალობას აგრეთვე განსაზღვრავს ისიც, რომ მსგავსი მიმართულებით კვლევა ქართულ არქეოლოგიაში არ ჩატარებულა. რის გამოც, მოცემულ პერიოდებში, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებასთან მიმართებაში არსებული ბევრი საკითხი დღემდე შეუსწავლელი რჩება.

Annotation

The work is an attempt to define the ceramic production standards on Grakliani Gora, in the Late Bronze - Early Iron Age and in the Achaemenid Period. To achieve this purpose, it's used ceramic materials from the settlement and from the necropolis. Namely, the units that are more or less completely preserved and allow to determine the size of the vessel. The volume is taken as the main object of the research, since the existence of volume units in the society speaks a lot of things about its level of development. Along with the volume, there are defined other metric features of each vessel. Certain groups of the vessels are separated according to their morphological characteristics and the general statistical data is included in addition. There is an attempt to establish some regularities. Based on the analysis of the data, we can assume if there were defined standards of ceramic production on the Grakliani Gora in the given periods of time and what is the connection between the standards of this two periods. Also it will help us to see, if there are common signs with the known standards of neighboring regions. All these things will assist to clarify the development level of population of Grakliani Gora and in general the Eastern Georgia. The importance of this paper is determined by the rarity of this type of researches in the Georgian Archaeology. Therefore, many of the issues, related to the economic and cultural development of the population living on the territory of Eastern Georgia in the given periods, remain unrevealed.

სარჩევი

| | |
|--|----|
| შესავალი | 6 |
| კვლევის მეთოდოლოგია..... | 10 |
| 1. გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის ხანის კერამიკული მასალა..... | 11 |
| 1.1. ქოთნები | 11 |
| 1.2. ფიალები..... | 14 |
| 1.3. ქილები | 15 |
| 1.4. სარიტუალო კოჭობები..... | 15 |
| 2. აქემენიდური ხანის (ძვ.წ. V-IV სს) კერამიკული მასალა | 17 |
| 2.1. დოქები და ხელადები | 17 |
| 2.2. ქოთნები და კოჭობები..... | 24 |
| 2.3. ჯამ-ფიალები | 29 |
| 2.4. ჭრაქები..... | 31 |
| 2.5. სურები | 32 |
| 2.6. სამფეხები..... | 32 |
| 2.7. ტოლჩები..... | 33 |
| 3. მოცულობის ადგილობრივი სტანდარტი..... | 35 |
| 4. შედარება მეზობელ რეგიონებში არსებულ სტანდარტებთან | 41 |
| დასკვნა | 49 |
| ბიბლიოგრაფია..... | 51 |
| გამოყენებული კერამიკული მასალის აღწერილობა..... | 52 |
| ტაბულების აღწერილობა..... | 81 |
| ტაბულები | 83 |

შესავალი

გრაკლიანი გორის ნამოსახლარი და სამაროვანი მდებარეობს ცენტრალურ ამიერკავკასიაში, საქართველოში, კასპის რაიონის სოფ. იგოეთისა და სამთავისის ტერიტორიაზე, მდ. ლეხურას მარჯვენა ნაპირზე წამომართულ გორაზე, უშუალოდ თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზატკეცილთან (ტაბ. I). გრაკლიან გორაზე გასული საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ ი. გაგოშიძის ხელმძღვანელობით, შეისწავლა ელინისტური ხანის კოშკი. 1998 წლის მაისში, სოფ. იგოეთისა და სამთავისის ტერიტორიაზე ინტენსიურად წარმოებული სამშენებლო სამუშაოების შედეგად გვიანანტიკური ხანის ნაქალაქარი, ქვევრსამარხები და ელინისტური ხანის ციტადელის მიმდებარე ნაგებობები. 2001 წელს გრაკლიანი გორის აღმოსავლეთ ნაწილში არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ნასტაკისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნინო მირიანაშვილის ხელმძღვანელობით გაჭრა რამდენიმე თხრილი. დაფიქსირდა ნაგებობათა ნაშთები და ინტენსიური კრამიტყრილი, რომელიც ძვ.წ. II - ახ.წ. I საუკუნეებით დათარიღდა¹. 2008 წელს, თბილისი-სენაკი-ლესელიძის დამაკავშირებელი გზატკეცილის გაფართოებასთან დაკავშირებით, გორის სამხრეთ ფერდობზე ჩატარდა გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოები. ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოვლინდა მრავალფენიანი ნამოსახლარი და სხვადასხვა პერიოდის სამარხები. აღმოჩენილი მასალის განსაკუთრებულმა ისტორიულმა ღირებულებამ განაპირობა ძეგლზე შემდგომი კვლევის გაგრძელების აუცილებლობა. 2015 წელს გრაკლიან გორას ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

გრაკლიანი გორის ტერიტორიაზე გათხრები დღემდე მიმდინარეობს პროფ. ვახტანგ ლიჩელის ხელმძღვანელობით. ამჟამად, ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური მასალა საშუალებას იძლევა გამოიყოს 11 სტრატოგრაფიული ფენა:

¹ კვიციანი გ., მურვანიძე ბ., ნიკოლაიშვილი ვ., ორჯონიკიძე ა., არქეოლოგიური გათხრები გრაკლიანის გორაზე 2009 წელს, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, №20, თბილისი, 2011. გვ 47.

1. პალეოლითი – წარმოდგენილია ქვარგვალეზზე დამზადებული დიდი რაოდენობით იარაღით. პროფ. გურამ გრიგოლიას აზრით საქმე გვაქვს ოლდუვაი – დმანისის პერიოდის ნაშთებთან, რაც დაახლოებით 1.5–2 მილიონი წლით თარიღდება.
2. ენეოლითი – ამ პერიოდს განეკუთვნება ხელცული, კაჟის შუბის პირი, ნამგლის ჩასართები, ძვლის სახვრეტები. ასევე, კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი.
3. ადრე ბრინჯაოს ხანა – ამ პერიოდის სამარხები გამოვლენილია სამაროვანზე.
4. გვიან ბრინჯაო/ადრე რკინის ხანა – ეს პერიოდი ძეგლზე კარგად არის წარმოდგენილი. იგი დადასტურებულია როგორც ნამოსახლარზე, ასევე სამაროვანზე. ქრონოლოგიურად იგი მოიცავს ძვ.წ. XIII-IX საუკუნეებს.
5. განვითარებული რკინის ხანა – დადასტურებულია ამ პერიოდის როგორც საკულტო, ისე საცხოვრებელი ნაგებობები. თითოეულ საცხოვრებელ ნაგებობაში გამართულია ე.წ. ხოვლური ტიპის ღუმელი. ქრონოლოგიურად ეს პერიოდი მოიცავს ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებს.
6. ძვ.წ VI საუკუნე – ამ ხანას განეკუთვნება ერთი თაღიანი სახლი და საკურთხეველი.
7. ძვ.წ. V-IV საუკუნეები – ეს პერიოდი ძეგლზე კარგადაა წარმოდგენილი შენობა ნაგებობებით, რომელთა დაგეგმარება და ცხოვრების იქ დადასტურებული მაღალგანვითარებული დონე ურბანული ტენდენციების არსებობის მაჩვენებელია.
8. ძვ.წ. IV-III საუკუნეები – წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი სამარხებითა და კულტურული ფენით.
9. ძვ.წ. III-II საუკუნეები – დადასტურებულია ამ ეპოქის ე.წ. სამადლოს ტიპის კერამიკა.
10. ძვ.წ. II-I საუკუნეები – ამ პერიოდში გრაკლიანის სამხრეთ ფერდობზე ცხოვრების დონის შესუსტება შეინიშნება.
11. ახ.წ. III-IV საუკუნეები – დადასტურებულია ბორცვის წვერზე, დიდი რაოდენობით გვიან ანტიკური ტიპის კრამიტითა და რამდენიმე სამარხით.,

ზემოთხსენებული პერიოდებიდან ორი ძეგლზე ყველაზე ინტენსიურად არის წარმოდგენილი და ორივე მათგანის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს

საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთების უკეთ გააზრებისათვის. პირველია გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის ხანა, რომელიც დაახლოებით ძვ.წ. XIII-IX საუკუნეებს მოიცავს. როგორც უკვე აღვნიშნე, ამ პერიოდის ფენები კარგადაა წარმოდგენილი როგორც ნამოსახლარის, ისე სამაროვნის ტერიტორიაზე. მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს 2015 წელს აღმოჩენილი, ჯერ კიდევ გაუშიფრავი, დამწერლობის ნიმუში, რომელიც ძვ.წ. XI-X საუკუნეების მიჯნით თარიღდება. იგი წარმოადგენს დამწერლობის დღეისათვის ცნობილ უძველესს ნიმუშს კავკასიის ტერიტორიაზე.

რაც შეეხება მეორე პერიოდს, ესაა ძვ.წ. V-IV საუკუნეები. მას განსაკუთრებით საინტერესოს ხდის ის ფაქტი, რომ აქამდე ფართოდ გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, ამ პერიოდში ქართლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ცხოვრება კულტურულად და ეკონომიკურად დაკნინებული იყო. თუმცა გრაკლიან გორაზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა სრულიად საპირისპირო დაადასტურა. აქ აღმოჩნდა საკმაოდ განვითარებული არქიტექტურის მქონე შენობა-ნაგებობები, ღუმელები და საკურთხევლები. გამოვლინდა ადგილობრივი, მაღალი ხარისხის სამეთუნეო და მეტალურგიული ნაწარმი. დადასტურდა დიდი რაოდენობით იმპორტული საქონელი, იმ პერიოდის წამყვანი სახელმწიფოებიდან. ეს ყველაფერი კი იმაზე მიუთითებს, რომ ძვ.წ. V-IV სს-ში ქართლის ტერიტორიაზე არა თუ დაკნინებული და დეგრადირებული, არამედ საკმაოდ განვითარებული საზოგადოება ცხოვრობდა.²

გრაკლიან გორაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული მასალის მნიშვნელოვან ნაწილს თიხის ჭურჭელი შეადგენს, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა აღნიშნული პერიოდისათვის. მას შემდეგ რაც „ნეოლითური რევოლუცია“ მოხდა და ადამიანი მკვიდრ ცხოვრებაზე გადავიდა, მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას მიჰყო ხელი, დაიწყო თიხისაგან ჭურჭლის დამზადებაც. აქედან მოყოლებული თიხის ჭურჭელი ადამიანის პირველადი მოხმარების საგანია და თან ახლავს მას კულტურული განვითარების ყველა ეტაპზე. კერამიკული წარმოება უწყვეტ განვითარებას განიცდის, ახალ-ახალი მოთხოვნილებების შესაბამისად.

² კულტურული და სავაჭრო ურთიერთობები ცენტრალურ ამიერკავკასიაში : (გრაკლიანი გორა) / ვახტანგ ლიჩელი // Academia / აკ.ქუთათელაძის სახ. თბ. სახ-ფო სამხატვრო აკადემია - თბილისი, 2010. გვ. 25-34.

კერამიკული ნაწარმი მატერიალური კულტურის ერთ–ერთი მეტყველი ძეგლია, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია აღვადგინოთ ამა თუ იმ ეპოქის წარმოების ხასიათი, ორგანიზაცია და საზოგადოების განვითარების ეკონომიკური დონე. ამიტომაც მას ხშირად „არქეოლოგიურ ანბანსაც“ უწოდებენ.

სწორედ ამიტომ, მოცემულ ნაშრომში, ძეგლზე მოპოვებული კერამიკის ნიმუშების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, შევეცდები დავადგინო, თუ განვითარების რა საფეხურზე იმყოფებოდა გრაკლიანი გორის მოსახლეობა მოცემულ პერიოდებში და ჰქონდათ თუ არა მათ უკვე შემუშავებული რაიმე სახის სტანდარტი კერამიკულ წარმოებაში. კვლევისათვის გამოყენებულია გრაკლიანი გორის ნამოსახლარსა და სამაროვანზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული კერამიკული მასალა. კერძოდ ის ერთეულები, რომელთა ჩვენამდე მოღწეული მდგომარეობაც მოცულობის განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს, აღნიშნული კერამიკული მასალის დიფერენცირება პერიოდის, ტიპის, მოცულობისა და სხვა პარამეტრების მიხედვით. უმთავრეს მახასიათებლად აღებულია ჭურჭლის მოცულობა. ვინაიდან, იმის გარკვევა, ჰქონდა თუ არა მოცემულ პერიოდებში გრაკლიანი გორის მოსახლეობას, რაიმე დადგენილი წონისა და მოცულობის ერთეულები, დაგვეხმარება უკეთ გავიაზროთ მათი განვითარების დონე და აგრეთვე ის თუ რამდენად ინტენსიური კავშირი ჰქონდა მათ მეზობელ რეგიონებთან (იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლოა გამოვლინდეს გარკვეული სიახლოვე სხვა, ჩვენთვის უკვე ნაცნობ, ერთეულებთან).

კვლევის მეთოდика

საკვლევ მასალად გამოყენებული იქნა 2008–2018 წლებში წარმოებული გათხრების შედეგად მოპოვებული კერამიკული მასალა, როგორც ნამოსახლარიდან აგრეთვე სამაროვნიდან. კერძოდ ის ჭურჭლები, რომლებიც მეტ–ნაკლებად მთლიანი სახით იყო შემორჩენილი და მოცულობის დადგენის შესაძლებლობას იძლეოდა. ცდების დროს, მასალისათვის რაიმე სახის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად, მოცულობების დასადგენად წყლის ნაცვლად გამოიყენებოდა ბრინჯის მარცვლები.

პირველ რიგში მენზურისა და სასწორის მეშვეობით განისაზღვრა მოცულობითი შეფარდება ბრინჯის მარცვლებსა და წყალს შორის (0,9 გ/სმ³). შემდეგ მოხდა ასარწყავი ჭურჭლების ნუმერაცია და ფოტო ფიქსაცია. ცდებისათვის ვარგისი აღმოჩნდა 180 ერთეული.

ცდის პროცესში, ჯერ ხდებოდა ცარიელი ჭურჭლის მასის დადგენა, შემდეგ ბრინჯის მარცვლებით ივსებოდა იმ დონემდე, სადამდეც სავარაუდოდ ავსებდნენ, ამა თუ იმ ნივთიერებით, ექსპლუატაციის პერიოდში. იმის განსაზღვრის შემდეგ თუ რა რაოდენობის ბრინჯი ეტეოდა ჭურჭელში, უკვე წინასწარ განსაზღვრული კოეფიციენტის მიხედვით ხდებოდა ჭურჭლის მოცულობის დადგენა. მიღებული მონაცემები შედიოდა “Microsoft Excel”-ის პროგრამაში. მოცულობის გარდა აღნიშნულ პროგრამაში შედიოდა სხვა მეტრული მონაცემებიც, რომლებიც თითოეული ჭურჭლისათვის იყო დამახასიათებელი (სიმაღლე, პირის დიამეტრი, ძირის დიამეტრი და ა.შ.).

საკვლევ ერთეულების დათარიღება მოხდა რეგიონის, ამავე პერიოდის, კარგად სტრატეფიცირებულ ძეგლებზე მოპოვებული ანალოგების დახმარებით. აგრეთვე, იმ ნამოსახლარი თუ სამარხული კომპლექსების მიხედვით, სადაც ისინი იქნა გამოვლენილი. დადგინდა, რომ მასალის ძირითადი ნაწილი, კერძოდ 160 ჭურჭელი, თარიღდება ძვ.წ. V-IV საუკუნეებით. გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის ხანა კი სულ 20, თუმცა საკმაოდ მეტყველი, ერთეულის სახითაა წარმოდგენილი.

1. გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის ხანის კერამიკული მასალა

საკვლევად აღებულ მასალაში გვიან - ბრინჯაო ადრე რკინა წარმოდგენილია 20 ერთეულის სახით. მათ შორისაა 11 ქოთანი, 3 ფიალა, 2 ქილა, 2 სარიტუალო კოჭობი და 2 სხვა ჭურჭელი (ტაბ. II_1). ცდის შედეგად მიღებული ზოგადი სტატისტიკური მონაცემების მეცნიერული ანალიზი საშუალებას მოგვცემს მეტ-ნაკლები წარმოდგენა შევიქმნათ გრაკლიან გორაზე არსებულ კერამიკული წარმოების სტანდარტებზე მოცემულ პერიოდში.

1.1. ქოთნები

ქოთნების დაყოფა მოხდა ორ ძირითად ჯგუფად. პირველ ჯგუფში ერთიანდება 6 ერთეული, რომლებსაც საკმაოდ ბევრი საერთო ნიშანი ახასიათებს (ტაბ. III). ისინი მორუხო-მონაცრისფროდაა გამომწვარი, პირი ოდნავაა გადამლილი, მუცელი მომრგვალებულია და ძირისკენ შევიწროვებული, მასზე მიძერწილია მრგვალგანიკვეთიანი, ხშირ შემთხვევაში ზომორფული ყური, ძირის კიდეზე შემოუყვება ირიბი ჭდეები. განსხვავებულია მხოლოდ ერთი №90 ერთეული, რომელიც დიდი ზომისაა, მომრგვალებულის მაგივრად ბიკონუსური ტანი აქვს და სხვებთან შედარებით მდარე ხარისხისაა.

| № | ჭურჭლის წონა (გ) | მოცულობა (მლ) | სიმაღლე (სმ) | პირის დიამეტრი (სმ) | ძირის დიამეტრი (სმ) | ყურის დიამეტრი (სმ) |
|-----|------------------|---------------|--------------|---------------------|---------------------|---------------------|
| 11 | 820 | 1722 | 16.5 | 12 | 5.8 | 1.7 |
| 56 | 685 | 728 | 14 | 9 | 6 | 1.5 |
| 57 | 810 | 1306 | 15.5 | 11.3 | 6.3 | 0.5 - 2 |
| 58 | 505 | 783 | 12.5 | 9.4 | 6 | 1.3 - 1.5 |
| 90 | 2100 | 3128 | 22.5 | 14 | 7.5 | 2 - 2.5 |
| 138 | 970 | 1644 | 16.8 | - | 6.2 | 1 - 1.6 |

1.1.1. ქოთნები. ჯგუფი I. მეტრული მონაცემები.

გარდა №90 ჭურჭლისა, ჯგუფის სხვა ერთეულებს მსგავსი მეტრული პარამეტრები ახასიათებს. სიმაღლე - 12,5-16,8 სმ, პირის დიამეტრი - 9-12 სმ, ძირის დიამეტრი - 5,8-6,3 სმ, ყურის დიამეტრი - 0,5-2 სმ(ძირითადად 1,5 სმ-თან მიახლოებული).

| № | მოცულობა | ფარდობა |
|-----|----------|---------|
| 56 | 728 | X |
| 58 | 783 | X |
| 138 | 1644 | 2X |
| 11 | 1722 | 2X |
| 90 | 3128 | 4X |

1.1.2. ქოთნები. ჯგუფი I. კანონზომიერებები მოცულობაში.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ გარდა მორფოლოგიური მსგავსებისა, მოცემული ჭურჭლის მოცულობები პოულობენ გარკვეულ კანონზომიერებას ერთმანეთთან შეფარდებაში. №56 და №58 საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან და მათი მოცულობებია 728 მლ და 783 მლ, მაშინ როდესაც №138 და №11 პრაქტიკულად გაორმაგებულ ზომას წარმოადგენს, ხოლო №90 გაოთხმაგებულს.

მეორე ჯგუფში ერთიანდება 5 ჭურჭელი, რომელთაგან 4-ს ერთნაირი ფორმა აქვს და განსხვავება მხოლოდ ზომაშია (ტაბ. IV). მათთვის დამახასიათებელია ფართო პირი, ძირისკენ საგრძნობლად შევიწროვებული ბიკონუსური ტანი, მკვეთრად გამოხატული გადასვლის ზოლით და დაბალი ქუსლი. უნდა აღინიშნოს, რომ ზომიდან გამომდინარე შესაძლოა ყველა მათგანის ქოთნად მიჩნევა რთულია, თუმცა ერთმანეთთან ძლიერი მორფოლოგიური მსგავსებიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნიეთ მათი ერთ ჯგუფში გაერთიანება. რაც შეეხება მეხუთე ჭურჭელს, იგი შავადაა გამომწვარი, პირი ოდნავ გადაშლილია, ტანი ბიკონუსურია, თუმცა გადასვლის ადგილი არაა გამოხატული, ძირისკენ ისიც საგრძნობლადაა შევიწროვებული და ქუსლიც ოდნავ არის გამოყოფილი.

| № | ჭურჭლის წონა (გ) | მოცულობა (მლ) | სიმაღლე (სმ) | პირის დიამეტრი (სმ) | ძირის დიამეტრი (სმ) |
|----|------------------|---------------|--------------|---------------------|---------------------|
| 51 | 505 | 511 | 8 | 12.5 | 5 |
| 52 | 65 | 50 | 3.7 | 5.8 | 3.3 |
| 60 | 1380 | 2544 | 13.5 | 21 | 8.7 |
| 82 | 640 | 1289 | 10.5 | 15.2 | 7.4 |
| 83 | 490 | 889 | 12.5 | 8.8 | 6 |

1.1.3. ქოთნები. ჯგუფი II. მეტრული მონაცემები.

გამომდინარე ზომაში საგრძნობი სხვაობიდან, მოცემული ერთეულების მეტრული პარამეტრები საგრძნობლად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. სიმაღლე - 3,7-13,5 სმ, პირის დიამეტრი - 5,8-21 სმ, ძირის დიამეტრი - 3,3-8,7 სმ.

| № | მოცულობა | ფარდობა |
|----|----------|-----------------|
| 52 | 50 | 1/10 X |
| 51 | 511 | X |
| 82 | 1289 | $2\frac{1}{2}X$ |
| 60 | 2544 | 5X |

1.1.4. ქოთნები. ჯგუფი II. კანონზომიერებები მოცულობაში.

ქოთნების მეორე ჯგუფშიც, მსგავსად პირველისა შეინიშნება გარკვეული კანონზომიერება ჭურჭლის მოცულობის მხრივ. კერძოდ, №51 წარმოადგენს საკვანძო ერთეულს, რომელთან მიმართებაშიც გვაქვს 2,5-ჯერ(№82) და 5-ჯერ(№60) დიდი ზომები. აქვე გვაქვს მასზე 10-ჯერ ნაკლები მოცულობის ჭურჭელიც - №52.

ქოთნების ორივე ჯგუფში შემავალი ერთეულების მორფოლოგიური მსგავსება და მოცულობათა ასეთი კანონზომიერებების არსებობა უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის ეპოქაში, გრაკლიანი გორის მოსახლეობას უკვე ჰქონდა მეტუნეობაში შემუშავებული გარკვეული სტანდარტები. გარდა ამისა,

მოცულობათა ასეთი დიფერენცირება ეკონომიკურ-სავაჭრო ურთიერთობების საკმაოდ რთული სისტემის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს.

1.2. ფიალები

ფიალები გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის მასალაში სამი ერთეული სახითაა წარმოდგენილი (ტაბ. V). ისინი ფორმით ძალზე ჰგავს ერთმანეთს და მხოლოდ ზომითაა განსხვავებული. სამივე მათგანი შავადაა გამომწვარი, პირი ფართოდ გადაშლილი, ძირისკენ გადასვლის ადგილზე მკაფიოდაა გამოხატული წიბო, რომლის შემდეგაც მკვეთრად დაძვინებული, ქუსლი ოდნავაა გამოკვეთილი.

| № | ჭურჭლის წონა (გ) | მოცულობა (მლ) | სიმაღლე (სმ) | პირის დიამეტრი (სმ) | ძირის დიამეტრი (სმ) |
|----|------------------|---------------|--------------|---------------------|---------------------|
| 16 | 2355 | 2867 | 9 | 36 | 9 |
| 50 | 310 | 278 | 3.7 | 14.7 | 5.5 |
| 76 | 105 | 133 | 3.5 | 10.4 | 4.8 |

1.2.1. ფიალები. მეტრული მონაცემები.

ზომაში საგრძნობი სხვაობიდან გამომდინარე №16 ყველა მეტრული პარამეტრით გაცილებით აღემატება დანარჩენ ორ ფიალას, რომლებსაც მეტ-ნაკლებად მსგავსი მახასიათებლები აქვთ. სიმაღლე - 3,5-3,7 სმ, პირის დიამეტრი - 10,4-14,7 სმ, ძირის დიამეტრი - 4,8-5,5 სმ.

| № | მოცულობა | ფარდობა |
|----|----------|---------|
| 76 | 133 | 1/2 X |
| 50 | 278 | X |
| 16 | 2867 | 10X |

1.2.2. ფიალები. კანონზომიერებები მოცულობაში

მათი მოცულობების ფარდობა შემდეგნაირად გამოიყურება. №50 დაახლოებით ორჯერ აღემატება №76-ს. ხოლო №16 ათჯერ აღემატება №50-ს. შესაბამისად, გარდა ტიპოლოგიური მსგავსებისა, აქაც შეინიშნება გარკვეული კანონზომიერება.

1.3. ქილები

ქილები სულ ორი ერთეულის სახით გვაქვს წარმოდგენილი და ისინი საკმაოდ გავს ერთმანეთს თითქმის ყველა პარამეტრით (ტაბ. VI). ორივე მათგანი შავადაა გამომწვარი, პირი გადაშლილი, მუცელი მომრგვალებული, ძირისკენ ოდნავ შევიწროვებული, ძირი ბრტყელი, ქუსლი არაა გამოხატული. ყელზე ორივე მათგანს შემოუყვება ჭდეული, კონცენტრული ზოლები.

| № | ჭურჭლის წონა (გ) | მოცულობა (მლ) | სიმაღლე (სმ) | პირის დიამეტრი (სმ) | ძირის დიამეტრი (სმ) |
|----|------------------|---------------|--------------|---------------------|---------------------|
| 35 | 225 | 267 | 12 | 6.2 | 4.5 |
| 65 | 220 | 250 | 12 | 5.6 | 4.5 |

1.3.1. ქილები. მეტრული მონაცემები.

მეტრული პარამეტრებითაც ორივე მათგანი ძალზე ახლოს დგას ერთმანეთთან. სიმაღლე - 12 სმ, პირის დიამეტრი - 5,6-6,2 სმ, ძირის დიამეტრი - 4,5 სმ. გარდა ამისა წონასა და მოცულობაში სხვაობაც მინიმალურია. №65: წონა - 220გ, მოცულობა - 250მლ, №35: წონა - 225, მოცულობა - 267მლ.

1.4. სარიტუალო კოჭობები

სარიტუალო კოჭობები ორი ერთეულის სახითაც წარმოდგენილი (ტაბ. VII). ერთი მათგანი შავად ხოლო მეორე მოყავისფროდაა გამომწვარი, პირი ორივეს ოდნავ გადაშლილი აქვს, მუცელი მომრგვალებული, ძირისკენ შევიწროვებული, მუცელზე მიმერწილია ჰორიზონტალურად განზიდული ყური, ყურის ზემოთ ორივეს შემოუყვება

ირიბი ჭდეების ერთი ზოლი. შავად გამომწვარ ერთეულს ქუსლი აქვს ოდნავ გამოხატული და ძირის კიდეზე შემოუყვება ირიბი ჭდეები.

| ჭურჭლის ნომერი | ჭურჭლის წონა (გ) | მოცულობა (მლ) | სიმაღლე (სმ) | პირის დიამეტრი (სმ) | ძირის დიამეტრი (სმ) | ყურის დიამეტრი (სმ) |
|-------------------|---------------------|------------------|-----------------|---------------------------|---------------------------|---------------------------|
| 43 | 165 | 122 | 7 | 5 – 5.3 | 4.5 | 1.1 – 2.1 |
| 18 | 310 | 472 | 10.2 | 7.8 - 8 | 5.3 | 1.4 – 3.2 |

1.4.1. სარიტუალო კოჭობები. მეტრული მონაცემები.

მეტრული პარამეტრები შემდეგნაირად გამოიყურება. სიმაღლე - 7-10,2 სმ, პირის დიამეტრი - 5-8 სმ, ძირის დიამეტრი - 4,5-5,3 სმ, ყურის დიამეტრი - 1,1-3,2 სმ. წონასა და მოცულობაშიც შეინიშნება გარკვეული კანონზომიერება. კერძოდ №18 დაახლოებით ორჯერ მძიმეა №43-ზე, მოცულობით კი 4-ჯერ აღემატება მას.

2. აქემენიდური ხანის (ძვ.წ. V-IV სს) კერამიკული მასალა

ძვ.წ. V-IV საუკუნეები გრაკლიან გორაზე ყველაზე დიდი მასშტაბებითაა წარმოდგენილი. შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ ჩვენს საკვლევ მასალაშიც ძირითადი ნაწილი მას უჭირავს. კვლევისათვის აღებული ჭურჭლიდან 160 ერთეული სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება. ყველაზე მრავლად, 68 ერთეულის სახით, წარმოდგენილია დოქები და ხელადები, მას მოსდევს ქოთნები და კოჭობები - 49, ჯამ-ფიალები - 24, ჭრაქები - 6, სურები - 4, სამფეხები - 4, ტოლჩები - 2, სხვა - 3 (ტაბ. II_2).

2.1. დოქები და ხელადები

საკვლევ მასალაში დოქები და ხელადები ყველაზე დიდი რაოდენობითაა. მორფოლოგიური და ტიპოლოგიური მახასიათებლების მიხედვით ისინი დაიყო ხუთ ძირითად ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედის სადა, ჩალისფრად გამომწვარი ჭურჭელი, ყოველგვარი ორნამენტაციის გარეშე ან, ძალზე იშვიათად, მინიმალისტური ორნამენტაციით. მეორე ჯგუფში ერთიანდება ჩალისფრად გამომწვარი და მოწითალო-მოყავისფროდ შეღებილი ან ორნამენტირებული ერთეულები. მესამე ჯგუფში ერთიანდება სადა, მორუხო-მონაცრისფროდ ან მოყავისფროდ გამომწვარი ერთეულები, ორნამენტაციის გარეშე ან, ძალზე იშვიათად, მინიმალისტური ორნამენტაციით. მეოთხე ჯგუფში შედის ჩალისფრად გამომწვარი, სადა ან წითლად შეღებილი, სამტუჩა ჭურჭელი. ხოლო ბოლო მეხუთე ჯგუფი შედგება ჩალისფრად გამომწვარი, ყურმილიანი ერთეულებისგან.

პირველ ჯგუფში ერთიანდება 27 ჭურჭელი, რომლებსაც საერთოსთან ერთად რამდენიმე განმასხვავებელი ნიშანიც გააჩნია (ტაბ. VIII-X). მაგალითად, საერთოა ის, რომ ყველა მათგანი მოჩალისფროდაა გამომწვარი, პირი გადაშლილი, მუცელი მომრგვალებული, ძირი ბრტყელია და ქუსლი არცერთ მათგანს არ აქვს. აგრეთვე, ყველას მიძერწილი აქვს მრგვალგანივკვეთიანი ყური. განმასხვავებელ ნიშნად შეგვიძლია მივიჩნიოთ ყურის მიძერწვის არეალი, კერძოდ, ზოგიერთს ყური პირზე და მუცელზე

აქვს დაპერწილი, ზოგს კი ყელზე და მუცელზე. განსხვავებაა ტანის ფორმაშიც, ზოგ ერთეულს სფეროსებრი ტანი აქვს, ზოგს კი მსხლისებრი.

| № | ჭურჭლის წონა (გ) | მოცულობა (მლ) | სიმაღლე (სმ) | პირის დიამეტრი (სმ) | ძირის დიამეტრი (სმ) | ყურის დიამეტრი (სმ) |
|-----|------------------|---------------|--------------|---------------------|---------------------|---------------------|
| 1 | 890 | 1889 | 21 | 9 - 10 | 9 | 1.5 |
| 5 | 330 | 450 | 13.3 | 4.5 - 4.8 | 7.7 | 1.4 |
| 7 | 1200 | 3522 | 24 | 9.5 - 10.8 | 12 | 1.7 |
| 15 | 1515 | 5189 | 28 | 10 - 11 | 15.5 | 1.8 |
| 20 | 460 | 689 | 16 | 6.3 | 7.7 | 1.5 |
| 29 | 410 | 489 | 14.5 | 6.5 - 7 | 7.5 | 1 - 1.2 |
| 44 | 210 | 278 | 12 | 4 | 5.6 - 5.8 | 1.1 |
| 93 | 565 | 889 | 17 | - | 10 | 1.5 |
| 94 | 710 | 1278 | 18.5 | - | 10.5 | 1.5 - 2 |
| 95 | 630 | 1161 | 17.3 | 7.3 | 9.5 | 1.2 - 2 |
| 97 | 350 | 456 | 14 | - | 8 | 1.2 - 1.5 |
| 99 | 880 | 1844 | 21.5 | 10 | 10.3 | 1.5 |
| 114 | 750 | 1878 | 19.8 | 9.3 | 11.2 | 1.5 |
| 116 | 245 | 478 | 13.5 | - | 7.5 | 1.2 |
| 131 | 775 | 1417 | 19 | - | 8.6 | 1.4 |
| 135 | 370 | 678 | 15 | 6.2 | 7.3 | 1.3 |
| 139 | 645 | 811 | 16.5 | - | 10.2 | 1.3 |
| 140 | 765 | 1606 | 19.8 | - | 11 | 1.4 |
| 145 | 825 | 2294 | 22 | 7 | 13 | 1.5 |
| 146 | 680 | 1744 | 19.8 | 8.5 | 11.2 | 1.5 |
| 147 | 1410 | 2900 | 22 | - | 11.5 | 1.7 |
| 160 | 215 | 256 | 11.3 | - | 6 | 1 |
| 163 | 640 | 878 | 16 | - | 9 | 1.4 |
| 165 | 535 | 1167 | 18.5 | - | 9 | 1.5 |
| 169 | 1020 | 1811 | 20.5 | - | 11.2 | 1.5 - 2.5 |
| 171 | 675 | 1367 | 19 | 7.7 | 11.5 | 1.4 |
| 175 | 1090 | 1772 | 20 | 9 | 12 | 1.7 |

2.1.1. დოქები და ხელადები. ჯგუფი I. მეტრული მონაცემები.

გამომდინარე განსხვავებული ზომებიდან, რამდენადმე განსხვავდება მათი მეტრული პარამეტრებიც. სიმაღლის მიხედვით შეგვიძლია გამოვყოთ 3 ჯგუფი: I – 15 სმ-ზე დაბალი, II – 15-დან 20 სმ-მდე და III – 20 სმ-ზე მაღალი. პირველ ჯგუფში ერთიანდება 6 ერთეული, მეორეში - 14, ხოლო მესამეში - 7. პირის დიამეტრი მერყეობს 4,5-დან 11 სმ-

მდე, ხოლო ძირის დიამეტრი 6-დან 15 სმ-მდე. ყურის დიამეტრი ძირითადად 1-1,7 სმ-ს შორისაა, თუმცა გვხვდება ერთეულები 2-2,5 სმ-ის დიამეტრის ყურითაც.

ჭურჭლის რაოდენობიდან და იქიდან გამომდინარე, რომ სხვადასხვა ჯგუფში შემავალი ერთეულებიც გარკვეულ კანონზომიერებას პოულობს ერთმანეთთან, მათ მოცულობაზე მოგვიანებით გვექნება საუბარი.

მეორე ჯგუფში ერთიანდება 14 ჭურჭელი, რომლებისთვისაც დამახასიათებელია მოწითალო ან მოყავისფრო საღებავით შეღებილი ან ორნამენტირებული მოჩალისფრო ზედაპირი (ტაბ. XI-XII). ისინი ფორმებითა და ზომით რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისაგან.

| № | ჭურჭლის წონა (გ) | მოცულობა (მლ) | სიმაღლე (სმ) | პირის დიამეტრი (სმ) | ძირის დიამეტრი (სმ) | ყურის დიამეტრი (სმ) |
|-----|------------------|---------------|--------------|---------------------|---------------------|---------------------|
| 2 | 1310 | 3000 | 24.5 | - | 11 | 2 |
| 3 | 1080 | 2028 | 21.5 | - | 11 | 1.9 |
| 8 | 1055 | 1711 | 21.5 | 8 | 10 | 1.9 |
| 9 | 1170 | 2522 | 23 | - | 11 | 1.7 |
| 12 | 940 | 1867 | 20.5 | 7 – 7.2 | 12 | 1.5 |
| 14 | 1970 | 3811 | 25.5 | 10.5 | 12.5 | 2.2 |
| 28 | 355 | 433 | 12 | 5.2 | 7.3 | 1.1 – 1.4 |
| 36 | 595 | 661 | 16 | 6 | 7.5 - 8 | 1.6 |
| 38 | 400 | 500 | 11.5 | 7.5 | 4.5 | 1.4 |
| 41 | 515 | 744 | 15.5 | 7.2 | 7 | - |
| 92 | 1125 | 2950 | 22.7 | 9 | 12.5 | 1.5 - 2 |
| 158 | 640 | 1239 | 17.3 | 5.5 | 10.7 | 1.4 |
| 159 | 415 | 750 | 15.2 | 5.5 | 7.7 | 1.3 |
| 173 | 535 | 700 | 16 | - | 7.5 | 1.2 - 1.5 |

2.1.2. დოქები და ხელადები. ჯგუფი II. მეტრული მონაცემები.

სიმაღლის მიხედვით ჭურჭელი შესაძლოა დავეყოთ ორ ჯგუფად: I – 20 სმ-ზე დაბალი და II – 20 სმ-ზე მაღალი. ორივე ჯგუფში ერთიანდება 7-7 ერთეული. პირის დიამეტრი მერყეობს 5,2-დან 10,5 სმ-მდე, ძირის დიამეტრი 4,5-დან 12,5 სმ-მდე, ხოლო ყურის დიამეტრი 1,1-დან 2,2 სმ-მდე.

მესამე ჯგუფში ერთიანდება მორუხოდ, მონაცრისფროდ ან მოყავისფროდ გამომწვარი 20 ერთეული (ტაბ. XIII-XV). ძირითადად სადა, ხოლო იშვიათ შემთხვევაში მინიმალისტურად ორნამენტირებული ზედაპირით. სხვა მორფოლოგიური მახასიათებლებით ისინი რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისაგან.

| № | ჭურჭლის წონა (გ) | მოცულობა (მლ) | სიმაღლე (სმ) | პირის დიამეტრი (სმ) | ძირის დიამეტრი (სმ) | ყურის დიამეტრი (სმ) |
|-----|------------------|---------------|--------------|---------------------|---------------------|---------------------|
| 13 | 1290 | 1189 | 19 | 8.5 | 11 | 1.5 |
| 23 | 305 | 428 | 11.7 | 6.7 - 7 | 6.5 - 6.7 | 1.2 - 1.4 |
| 27 | 1015 | 933 | 19 | 9 | 9.3 | 1.6 |
| 34 | 845 | 1222 | 17.5 | 8 | 9 - 9.5 | 1.8 - 2 |
| 62 | 345 | 494 | 14 | 5 | 7 | 0.7 - 1.5 |
| 100 | 450 | 344 | 12.5 | - | 7 | 1 - 1.5 |
| 104 | 765 | 767 | 15 | 7.5 | 9.5 | 1.5 |
| 107 | 495 | 361 | 13 | 6.5 | 7.5 | 1.5 |
| 123 | 335 | 267 | 12 | 6.7 | 4.8 | 1 - 1.6 |
| 129 | 595 | 589 | 14 | 8 | 9.7 | 1.4 |
| 134 | 780 | 644 | 15.5 | 7 | 9.8 | 1.5 - 1.8 |
| 136 | 660 | 1111 | 18.3 | - | 6.3 | 1 - 1.5 |
| 137 | 505 | 444 | 13 | - | 7.5 | 1 - 1.5 |
| 141 | 510 | 578 | 16 | - | 6.3 | 1.3 - 1.8 |
| 143 | 315 | 211 | 9.5 | 5 | 5.7 | 1.5 |
| 151 | 505 | 611 | 14 | 6.2 | 8.2 | 1.3 - 1.6 |
| 155 | 415 | 328 | 11 | - | 7.2 | 0.8 - 1.3 |
| 162 | 760 | 894 | 18.2 | - | 8 | 1.5 |
| 164 | 335 | 383 | 12.3 | - | 7.3 | 1.3 |
| 179 | 590 | 811 | 15 | - | 7.5 | 1 - 1.9 |

2.1.3. დოქები და ხელადები. ჯგუფი III. მეტრული მონაცემები.

სიმაღლის მიხედვით შეგვიძლია გამოვყოთ ორი ჯგუფი: I – 15-მდე და II – 15 სმ-ზე მაღალი. პირველში გაერთიანდება 11, ხოლო მეორეში 9 ჭურჭელი. პირის დიამეტრი მერყეობს 5-დან 9 სმ-მდე, ძირის დიამეტრი 4,8-დან 11 სმ-მდე, ხოლო ყურის დიამეტრი 0,7-დან 2 სმ-მდე.

მეოთხე ჯგუფში შედის 4 სამტუჩა ჭურჭელი (ტაბ. XVI). ისინი ჩალისფრადაა გამომწვარი. ორი მათგანი სადაა, ხოლო ორი წითლად არის მოხატული. მრგვალგანივკვეთიანი ყური ყველა მათგანს პირზე და მუცელზე აქვს მიძერწილი. ტანი

მომრგვალებული, სფეროსებრი, ძირისკენ ოდნავ შევიწროვებული, ძირი ბრტყელი. ზომით ყველა მათგანი საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისგან.

| № | ჭურჭლის წონა (გ) | მოცულობა (მლ) | სიმაღლე (სმ) | პირის დიამეტრი (სმ) | ძირის დიამეტრი (სმ) | ყურის დიამეტრი (სმ) |
|-----|------------------|---------------|--------------|---------------------|---------------------|---------------------|
| 106 | 300 | 222 | 13 | - | 4.5 | 1.2 - 1.5 |
| 180 | 610 | 761 | 16 | - | 7.6 | 1.5 - 2 |
| 4 | 1600 | 3178 | 25.5 | 8 - 10 | 12 | 2 |
| 17 | 3090 | 8611 | 34 | 11.5 – 12.5 | 14 | 2.3 |

2.1.4. დოქები და ხელადები. ჯგუფი IV. მეტრული მონაცემები.

ზომაში დიდი სხვაობიდან გამომდინარე, მათი მეტრული პარამეტრებიც საკმაოდ განსხვავებულია. სიმაღლე 13-დან 34 სმ-მდე მერყეობს, პირის დიამეტრის დადგენა მხოლოდ ორი მათგანის შემთხვევაში მოხერხდა და 8-დან 12,5 სმ-მდეა, ძირის დიამეტრი 4,5-დან 14 სმ-მდე, ხოლო ყურისა - 1,2-დან 2,3 სმ-მდე. გარდა მორფოლოგიური და ტიპოლოგიური მსგავსებისა მათ შორის რაიმე კანონზომიერება არ შეინიშნება.

მეხუთე ჯგუფი შედგება 3 ჩალისფერკეციანი ყურმილიანი ჭურჭლისგან, რომელთაგან ორი სადაა, ხოლო მესამე შემკულია მოწითალო საღებავით შესრულებული წყლის ფრინველთა გამოსახულებით (ტაბ. XVII). სამივე მათგანს გადაშლილი პირი, მომრგვალებული ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. ყური ყველას პირსა და მუცელზე აქვს მიპერწილი.

| № | ჭურჭლის წონა (გ) | მოცულობა (მლ) | სიმაღლე (სმ) | პირის დიამეტრი (სმ) | ძირის დიამეტრი (სმ) | ყურის დიამეტრი (სმ) |
|-----|------------------|---------------|--------------|---------------------|---------------------|---------------------|
| 124 | 205 | 167 | 10 | - | 5.7 | 1.2 - 1.5 |
| 161 | 235 | 233 | 11 | 4.9 | 6 | 1.5 |
| 154 | 320 | 261 | 12 | 5.5 | 6 | 1.5 |

2.1.5. დოქები და ხელადები. ჯგუფი V. მეტრული მონაცემები.

სამივე ჭურჭლის პარამეტრები საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან. სიმაღლე 10-12 სმ, პირის დიამეტრი 4,9-5,5 სმ, ძირის დიამეტრი 5,7-6 სმ, ხოლო ყურისა - 1,2-1,5 სმ.

წონასა და მოცულობას შორისაც არაა დიდი სხვაობა, მათი წონა 205-320 გ-ს, ხოლო მოცულობა 167-261 მლ-ს შორის მერყეობს.

დოქებისა და ხელადების პირველ სამ ჯგუფში შემავალი ჭურჭლების მოცულობებს შორის ვლინდება გარკვეული კანონზომიერებები, რომელთა მიხედვითაც შესაძლოა რამდენიმე მიმდევრობის გამოყოფა. პირველ მათგანში შედის ძირითადად პირველი ჯგუფის და მეორე-მესამე ჯგუფების რამდენიმე ჭურჭელი.

| №/ჯგუფი | მოცულობა | მოცულობა |
|---------|----------|----------|
| 160/I | 256 | 1/4 X |
| 44/I | 278 | 1/4 X |
| 23 | 428 | 1/2 X |
| 28 | 433 | 1/2 X |
| 137 | 444 | 1/2 X |
| 5/I | 450 | 1/2 X |
| 163/I | 878 | X |
| 93/I | 889 | X |
| 162/III | 894 | X |
| 175/I | 1772 | 2X |
| 169/I | 1811 | 2X |
| 99/I | 1844 | 2X |
| 12/II | 1867 | 2X |
| 114/I | 1878 | 2X |
| 1/I | 1889 | 2X |
| 7/I | 3522 | 4X |
| 14/II | 3811 | 4X |
| 15/I | 5189 | 6X |

2.1.6. დოქები და ხელადები. მოცულობა. პირველი მიმდევრობა.

ამ მიმდევრობაში საწყის ერთეულად შესაძლოა ავიღოთ ჭურჭლები, რომელთა მოცულობაც 878 მლ-დან 894 მლ-მდეა. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს აღნიშნული მოცულობის 3 ერთეული, დაახლოებით გაორმაგებული ზომის 6 ერთეული, ოთხმაგი ზომის 2 და ექვსმაგი ზომის 1 ერთეული. აქვე გვაქვს საწყისი ზომის ნახევარი მოცულობის 4 და მეოთხედი მოცულობის 2 ჭურჭელი.

| №/ჯგუფი | მოცულობა | ფარდობა |
|---------|----------|---------|
| 100/III | 344 | 1/2 X |
| 107/III | 361 | 1/2 X |
| 36/II | 661 | X |
| 135/I | 678 | X |
| 20/I | 689 | X |
| 173/II | 700 | X |
| 94/I | 1278 | 2X |
| 171/I | 1367 | 2X |
| 131/I | 1417 | 2X |

2.1.7. დოქები და ხელადები. მოცულობა. მეორე მიმდევრობა.

მეორე მიმდევრობაში სულ 9 ჭურჭელი ერთიანდება. თუ კი საწყის ერთეულად მივიჩნევთ მოცულობას 661-დან 700 მლ-მდე შემდეგი სურათს მივიღებთ. №20, №36, №135 და №173 საწყისი მოცულობის მქონე ჭურჭლებია. №94, №131 და №171 დაახლოებით გაორმაგებულ ზომას წარმოადგენს, ხოლო №100 და №107 განახევრებულს.

საინტერესოა, რომ გვხვდება ჭურჭლები ძალზე მსგავსი მეტრული თუ მორფოლოგიური მახასიათებლებით. მაგალითისათვის შეგვიძლია ავიღოთ №1 და №99 დოქები. ორივე მათგანი მოჩალისფროდ გამომწვარი. ზედაპირი ხაოიანია, პირი – გადაშლილი, ყელი – მაღალი, მუცელი – ბიკონუსური, ძირი – ბრტყელი. პირსა და მუცელზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. ისინი მეტრული პარამეტრებითაც ძალზე ახლოს დგანან ერთმანეთთან, კერძოდ, წონა - 880/890 გრამია, მოცულობა - 1844/1889 მლ, სიმაღლე - 21/21,5 სმ, პირის დიამეტრი - 10 სმ, ძირის დიამეტრი - 10,3/9 სმ, ხოლო ყურის დიამეტრი - 1,5 სმ. ორი ჭურჭლის ასეთი მსგავსება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ გრაკლიან გორაზე არსებობდა გარკვეული სტანდარტები კერამიკული წარმოებისას. ჩვენ არ შეგვიძლია ზუსტად ვთქვათ არის თუ არა ეს ორი ჭურჭელი ერთი და იგივე ოსტატის მიერ დამზადებული, თუმცა თავისთავად მნიშვნელოვანია, რომ ერთი და იგივე მასის თიხისაგან შეეძლოთ დაემზადებინათ ერთი და იგივე მოცულობის ჭურჭელი, რომლებიც სხვა მეტრული და მორფოლოგიური პარამეტრებითაც პრაქტიკულად ერთმანეთის იდენტურია.

2.2. ქოთნები და კოჭობები

ქოთნები და კოჭობები მეორე ყველაზე მრავლად წარმოდგენილი ფორმებია დოქებისა და ხელადების შემდეგ. მორფოლოგიური მახასიათებლების მიხედვით ისინი დაიყო ორ განსხვავებულ ჯგუფად: ყურით და ყურის გარეშე.

პირველი ჯგუფი წარმოდგენილია 30 ერთეულის სახით, რომლებიც ერთმანეთთან ამჟღავნებენ, როგორც მსგავსებას ისე განსხვავებას, სხვადასხვა კომპონენტების მიხედვით (ტაბ. XVIII-XX). ასეთებია, ზომა, გამოწვის ფერი და ხარისხი, მოყვანილობა, ყურის ფორმა და მიძერწვის არეალი და სხვ. ყველა მათგანს აქვს ერთი მრგვალგანივკვეთიანი ან ბრტყელი ყური, რომელიც შესაძლოა მიძერწილი იყოს პირზე და მუცელზე, ყელზე და მუცელზე ან მხოლოდ მუცელზე. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ერთი №84 ჭურჭელი, რომელსაც მუცელზე ერთმანეთის მოპირდაპირე მხარეს მიძერწილი აქვს ორი, მრგვალგანივკვეთიანი ყური. აღნიშნული ერთეული ჩალისფრადაა გამომწვარი და ზედაპირი მოწითალო საღებავით აქვს დაფარული. სხვა ჭურჭლების შემთხვევაში ზედაპირი ძირითადად სადაა, თუმცა ზოგ შემთხვევაში ვხვდებით წითლად შეღებილ ან წნეხვით დატანილი ნაპრიალები ზოლებით შემკულ ეგზემპლარებს. აგრეთვე სამ ქოთანს ყურის ზედა ნაწილში დატანილი აქვს ჯვრისებური ნიშანი. ერთერთ მათგანს თან ახლავს მზის სიმბოლური გამოსახულებაც.

გამომდინარე ზომაში სხვაობიდან, მათი მეტრული მახასიათებლებიც რამდენადმე განსხვავებულია ერთმანეთისაგან. სიმაღლის მიხედვით შეგვიძლია გამოვყოთ სამი ჯგუფი: I – 10 სმ-მდე, II – 10-დან 15 სმ-მდე და III 15 სმ-ზე მაღალი. პირველ ჯგუფში გაერთიანდება 6, მეორეში - 19, ხოლო მესამეში 5 ჭურჭელი. პირის დიამეტრი მერყეობს 5-დან 18 სმ-მდე, ძირის დიამეტრი - 4,5-დან 11,6 სმ-მდე, ხოლო ყურის დიამეტრი - 0,5-დან 2 სმ-მდე. მოცულობასთან დაკავშირებით, როგორც დოქებისა და ხელადების შემთხვევაში, აქაც ბოლოს გვექნება საუბარი.

| № | ჭურჭლის წონა (გ) | მოცულობა (მლ) | სიმაღლე (სმ) | პირის დiameterი (სმ) | ძირის დiameterი (სმ) | ყურის დiameterი (სმ) |
|-----|---------------------|------------------|-----------------|----------------------------|----------------------------|----------------------------|
| 21 | 305 | 311 | 9.3 | 8 | 6 | 0.6 – 1.5 |
| 25 | 525 | 867 | 11 | 9.2 | 8.3 | 1.1 – 1.5 |
| 37 | 495 | 711 | 10.5 | 10 – 10.2 | 6 | 1.1 – 1.5 |
| 39 | 530 | 667 | 10 | 10 | 8 | 1.5 – 1.7 |
| 40 | 315 | 556 | 11 | 8.2 – 8.4 | 7.6 | 1.1 – 1.3 |
| 59 | 950 | 1144 | 14 | 11 | 9.6 | 1 - 1.5 |
| 61 | 250 | 194 | 8 | 5.6 | 6.5 | 1 - 1.5 |
| 67 | 480 | 678 | 10.3 | 10.6 | 7.8 | 0.7 - 2.2 |
| 68 | 405 | 306 | 8.2 | 7.5 | 8.5 | 1 - 1.5 |
| 81 | 230 | 228 | 7.8 | 6.5 | 5.5 | - |
| 84 | 625 | 1261 | 15 | 9.8 | 8 | 1.2 - 1.5 |
| 85 | 2010 | 4267 | 22.2 | 14.5 | 11.6 | 1.5 - 2 |
| 87 | 405 | 533 | 10.3 | 10.5 | 8 | 1 - 1.5 |
| 88 | - | 4778 | 24 | 16.5 | - | 1.5 - 2 |
| 89 | - | 4856 | 20.5 | 18 | - | 1.5 - 1.8 |
| 91 | 325 | 361 | 9.2 | 6.5 | 7.5 | 0.8 - 1.5 |
| 96 | 570 | 922 | 12 | 11 | 9.5 | 0.5 - 2 |
| 102 | 745 | 1678 | 15 | - | 9 | 0.7 - 2 |
| 103 | 550 | 794 | 12 | 10.3 | 8 | 1 - 1.5 |
| 109 | 490 | 889 | 11 | 10 | 8.5 | 0.5 - 2 |
| 112 | 830 | 1022 | 13.5 | 11.5 | 8.8 | 0.7 - 2 |
| 117 | 730 | 1061 | 12.5 | 11.2 | 10.5 | 0.8 - 2 |
| 119 | 710 | 928 | 14 | 11 | 7.5 | 0.8 - 1.7 |
| 121 | 610 | 728 | 12.5 | 10 | 7.8 | 0.8 - 1.7 |
| 142 | 605 | 828 | 11.5 | 11 | 8.5 | 1.4 - 1.7 |
| 148 | 400 | 833 | 12.5 | 9.3 | 8.5 | 0.7 - 1.4 |
| 149 | 580 | 1022 | 12 | 11 | 9 | 0.8 - 1.7 |
| 150 | 1130 | 1494 | 14 | 12.5 | 11 | 1.5 |
| 168 | 120 | 117 | 6.6 | 5 | 4.5 | 1.5 |
| 177 | 590 | 1506 | 14.7 | 12 | 10 | 1 - 1.5 |

2.2.1. ქოთნები და კოჭობები. ჯგუფი I. მეტრული მონაცემები.

ქოთნებისა და კოჭობების მეორე ჯგუფში ერთიანდება 19 ჭურჭელი (ტაბ. XXI-XXII), როგორც წინა ჯგუფის ერთეულები, ისინიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ზომით, გამოწვის ფერითა და ხარისხით, მოყვანილობით და ა.შ. ყველა მათგანისთვის დამახასიათებელია ოდნავ გადაშლილი პირი და ბრტყელი ძირი ქუსლის გარეშე. აგრეთვე არცერთ მათგანს არ აქვს ყური. მუცელი ძირითადად სფერული ფორმისაა

თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ძირისკენ მეტადაა გაფართოებული. ზედაპირი ძირითადად სადაა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში წითლადაა შეღებილი. აგრეთვე გვაქვს თითო-თითო ეგზემპლარი კანელურებითა და კოპებით.

| № | ჭურჭლის წონა (გ) | მოცულობა (მლ) | სიმაღლე (სმ) | პირის დიამეტრი (სმ) | ძირის დიამეტრი (სმ) |
|-----|------------------|---------------|--------------|---------------------|---------------------|
| 24 | 380 | 378 | 9.2 | 8.7 | 7.3 |
| 26 | 350 | 372 | 9.5 | 7 | 6 |
| 33 | 475 | 689 | 11 | 9 | 8 – 8.2 |
| 42 | 105 | 89 | 6.2 | 5 | 3.5 |
| 63 | 165 | 239 | 7.3 | 6.2 | 5.7 |
| 64 | 155 | 200 | 7 | 5.7 | 5.5 |
| 66 | 500 | 467 | 9.5 | 7.5 | 8.5 |
| 69 | 260 | 256 | 7 | 9.3 | 7 |
| 72 | 460 | 556 | 9.5 | 10.7 | 7.8 |
| 98 | 245 | 172 | 7.5 | - | 5.5 |
| 108 | 325 | 333 | 7.5 | 10.3 | 7.5 |
| 110 | 185 | 122 | 6 | 6 | 5 |
| 122 | 405 | 500 | 10 | 7.6 | 6.5 |
| 127 | 220 | 278 | 8 | 7.5 | 6.2 |
| 130 | 700 | 1133 | 12 | 11.7 | 6.8 |
| 156 | 120 | 106 | 5.8 | 5.3 | 5.5 |
| 166 | 520 | 967 | 11.5 | 9 | 10.7 |
| 167 | 420 | 367 | 9.3 | 7.3 | 6.5 |
| 170 | 495 | 1178 | 12.9 | 10 | 8 |

2.2.2. ქოთნები და კოჭობები. ჯგუფი II. მეტრული მონაცემები.

მეორე ჯგუფის ჭურჭლისათვის შემდეგი მეტრული პარამეტრებია დამახასიათებელი: სიმაღლე - 5,8-12.9 სმ, პირის დიამეტრი - 5-11,7 სმ, ყურის დიამეტრი - 3,5-10,7 სმ.

მოცულობასთან მიმართებაში ქოთნებსა და კოჭობებშიც ვლინდება გარკვეული კანონზომიერებები. გვაქვს რამდენიმე მიმდევრობა, რომლებშიც ერთიანდება როგორც პირველი ასევე მეორე ჯგუფის ჭურჭლები. ყველაზე მეტი ჭურჭელი ერთიანდება მიმდევრობაში სადაც საწყის მოცულობად შეგვიძლია მივიჩნიოთ 361-378 მლ. გვაქვს ამ

მოცულობის მქონე 4 ჭურჭელი, ესენია: №24, №26, №91 და №167. აქვე გვაქვს ერთეულები 1,5-ჯერ, 2-ჯერ, 3-ჯერ, 4-ჯერ, 12-ჯერ და 13-ჯერ მეტი მოცულობით.

| №/ჯგუფი | მოცულობა | ფარდობა |
|---------|----------|-------------------|
| 91/I | 361 | X |
| 167/II | 367 | X |
| 26/II | 372 | X |
| 24/II | 378 | X |
| 87/I | 533 | 1 $\frac{1}{2}$ X |
| 37/I | 711 | 2X |
| 121/I | 728 | 2X |
| 112/I | 1022 | 3X |
| 149/I | 1022 | 3X |
| 117/I | 1061 | 3X |
| 150/I | 1494 | 4X |
| 85/I | 4267 | 12X |
| 88/I | 4778 | 13X |
| 89/I | 4856 | 13X |

2.2.3. ქოთნები და კოჭობები. მოცულობა. პირველი მიმდევრობა.

თავისთავად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ მიმდევრობაში შემავალ რამდენიმე ჭურჭელს ყურის ყელთან შეერთების ადგილზე დატანილი აქვს ჯვრისებური ნიშანი. კერძოდ ესენია №117, №121 და №150 ჭურჭლები. ეს სწორედ ის სამი ეგზემპლარია, რომლებზეც ზემოთაც გვქონდა საუბარი და სხვა ქოთნებისგან განსხვავებით მხოლოდ მათ აქვთ გაკეთებული მსგავსი ნიშანი. №121-ის მოცულობა 728 მლ-ია, ხოლო №150-ისა დაახლოებით მისი გაორმაგებული ზომა 1494 მლ. ეს ორი ჭურჭელი გამოწვის ფერით და ფორმითაც წააგავს ერთმანეთს. ორივე მათგანი მოჩალისფროდაა გამომწვარი, გადაშლილი პირი, სფეროსებრი მომრგვალებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ყური ორივეს მუცელზე აქვს მიძერწილი. №117 მათთან შედარებით განსხვავებულია, ის არათანაბრად, მორუხო-მოჩალისფროდ არის გამომწვარი, პირი ოდნავ გადაშლილი და ბაკომესქელებულია, მუცელი მომრგვალებულია, თუმცა ამ შემთხვევაში ყურიდან მუცელზე გადასვლის ადგილი მეტადაა გამოკვეთილი, ძირი ბრტყელია. ყური დანარჩენი ორი ჭურჭლისგან განსხვავებით პირსა და მუცელზეა დაძერწილი და ორნამენტიც განსხვავებულია. ჯვრისებური ნიშანი ჩასმულია სხივებიან წრეში, რაც

სავარაუდოდ მზის სიმბოლურ გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს. მისი მოცულობა 1061 მლ-ია რაც დაახლოებით სამჯერ მეტია ვიდრე საწყისი ერთეულის ზომა და ორჯერ მეტი ვიდრე №87 ჭურჭლის მოცულობა.

მეორე მიმდევრობაში შედის 8 ჭურჭელი, რომელთა უმეტესობაც ქოთნების და კოჭობების მეორე ჯგუფში ერთიანდება. თუ საწყის ზომად ავიღებთ 106-122 მლ-ს, მაშინ გვექნება საწყისი ზომის 2 ერთეული (№110 და №156). აქვე გვაქვს ორმაგი ზომის სამი (№63, №64 და №81), ოთხმაგი ზომის ორი (№66 და №122) და რვაჯერ მეტი ზომის ერთი ჭურჭელი (№166).

| №/ჯგუფი | მოცულობა | ფარდობა |
|---------|----------|---------|
| 156/II | 106 | X |
| 110/II | 122 | X |
| 64/II | 200 | 2X |
| 81/I | 228 | 2X |
| 63/II | 239 | 2X |
| 66/II | 467 | 4X |
| 122/II | 500 | 4X |
| 166/II | 967 | 8X |

2.2.4. ქოთნები და კოჭობები. მოცულობა. მეორე მიმდევრობა.

წინას მსგავსად მესამე მიმდევრობაც ძირითადად მეორე ჯგუფის ქოთნებითა და კოჭობებითაა წარმოდგენილი. საწყის ზომად შეგვიძლია ავიღოთ 556 მლ, რადგან ამ მოცულობის ორი ჭურჭელია სახეზე(№40 და №72). ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს დაახლოებით მისი ნახევარი ზომის ორი (№69 და №127) და გაორმაგებული ზომის სამი (№59, №130 და №170) ერთეული.

| №/ჯგუფი | მოცულობა | ფარდობა |
|---------|----------|---------|
| 69/II | 256 | 1/2 X |
| 127/II | 278 | 1/2 X |
| 40/I | 556 | X |
| 72/II | 556 | X |
| 130/II | 1133 | 2X |
| 59/I | 1144 | 2X |
| 170/II | 1178 | 2X |

2.2.5. ქოთნები და კოჭობები. მოცულობა. მესამე მიმდევრობა.

2.3. ჯამ-ფიალები

ძვ.წ. V-IV საუკუნეების მასალაში ჯამ-ფიალები წარმოდგენილია 24 ერთეულის სახით. ძირითადი მახასიათებლების მიხედვით ისინი დაიყო ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში ერთიანდება პირგადაშლილი, ხოლო მეორეში პირმოყრილი ერთეულები.

პირველი ჯგუფი 13 ჭურჭლისაგან შედგება (ტაბ. XXIII). მასში შედის მოჩალისფროდ ან მონაცრისფროდ გამომწვარი ერთეულები, რომლებსაც გარდა მსგავსებისა ახასიათებთ საკმაოდ თვალსაჩინო განმასხვავებელი ნიშნებიც. მათი უმეტესობა სადაა, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, რომელთა ზედაპირიც მოწითალო საღებავითაა დაფარული. განსხვავება კი ძირითადად გამოიხატება იმაში, თუ რამდენადაა პირი გადაშლილი ან რამდენად არის გამოკვეთილი ძირზე გადასვლის ადგილი.

| № | ჭურჭლის წონა (გ) | მოცულობა (მლ) | სიმაღლე (სმ) | პირის დიამეტრი (სმ) | ძირის დიამეტრი (სმ) |
|-----|------------------|---------------|--------------|---------------------|---------------------|
| 32 | 120 | 111 | 3.5 | 10.3 - 11 | 6.5 |
| 78 | 145 | 167 | 4 | 12.8 | - |
| 31 | 240 | 322 | 4.5 | 14.5 - 15 | 7.5 |
| 101 | 170 | 144 | 4.5 | 10.4 | 7 |
| 172 | 320 | 478 | 4.7 | 17.8 | 9 |
| 47 | 350 | 667 | 5 | 18.5 | 11.5 - 12 |
| 48 | 210 | 333 | 5 | 14 | 6.5 |
| 46 | 350 | 356 | 5.5 | 12.5 - 13 | 7.8 |
| 75 | 300 | 489 | 5.5 | 17.2 | 5.5 |
| 157 | 265 | 311 | 5.8 | 14.5 | 5.8 |
| 126 | 560 | 511 | 6 | 17 | 10 |
| 19 | 280 | 444 | 6.7 | 14 | 6.5 |
| 71 | 565 | 1100 | 6.8 | 21.5 | 10.5 |

2.3.1. ჯამ-ფიალები. ჯგუფი I. მეტრული მონაცემები.

პირველი ჯგუფის ჯამ-ფიალებისათვის შემდეგი მეტრული პარამეტრებია დამახასიათებელი. სიმაღლე მერყეობს 3,5-დან 6,8 სმ-მდე. პირის დიამეტრი 10,3-დან 21,5 სმ-მდეა. ხოლო ძირის დიამეტრი 5,5-12 სმ-ს ფარგლებშია. ჭურჭლის წონა ძირითადად არც თუ ისე დიდია და 200-300 გრამის ფარგლებში მერყეობს, თუ არ ჩავთვლით ორ

ერთეულს, რომელთა მასაც 560-565 გრამს უტოლდება. რაც შეეხება მოცულობას, ამ მხრივ გარკვეული კანონზომიერება შეინიშნება, რომელზეც მოგვიანებით გვექნება საუბარი.

ჯამ-ფიალების მეორე ჯგუფში 11 ერთეული შედის და ყველა მათგანისათვის დამახასიათებელია შიდა მხარეს გადახრილი ან გადაკეცილი პირი (ტაბ. XXIV). ისინი მორუხოვდ, მონაცრისფროდ, მოყავისფროდ და მოჩალისფროდაა გამომწვარი. გარდა გამოწვის ფერისა, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, განსხვავებაა იმაში თუ რამდენად არის პირი გადახრილი შიდა მხარეს. ამ ჯგუფში შემავალი ყველა ჭურჭელი სადაა და მათთვის არანაირი ორნამენტაცია არაა დამახასიათებელი.

| № | ჭურჭლის წონა (გ) | მოცულობა (მლ) | სიმაღლე (სმ) | პირის დიამეტრი (სმ) | ძირის დიამეტრი (სმ) |
|-----|------------------|---------------|--------------|---------------------|---------------------|
| 73 | 160 | 156 | 4.2 | 10.8 | 5.5 |
| 74 | 190 | 194 | 3.5 | 11 | 6.8 |
| 77 | 95 | 83 | 2 | 8.5 | 6 |
| 79 | 360 | 344 | 3.5 | 16 | 8.5 |
| 86 | 475 | 528 | 3.5 | 17 | 14.3 |
| 105 | 140 | 56 | 2.5 | 9 | 7.5 |
| 111 | 190 | 178 | 3.5 | 10.5 | 7 |
| 115 | 630 | 522 | 5.5 | 17 | 12 |
| 120 | 320 | 322 | 5.3 | 12.5 | 8 |
| 133 | 770 | 839 | 5 | 19 | - |
| 176 | 445 | 506 | 6 | 15.2 | 9 |

2.3.2. ჯამ-ფიალები. ჯგუფი II. მეტრული მონაცემები.

მეორე ჯგუფის ერთეულებისთვის დამახასიათებელი მეტრული პარამეტრები ასე გამოიყურება. სიმაღლე მერყეობს 2-დან 6 სმ-მდე, პირის დიამეტრი 8,5-დან 15,2 სმ-მდე, ხოლო ძირის დიამეტრი 5.5-დან 14 სმ-მდე. წონის მხრივ აქ პირველი ჯგუფისაგან ონდავ განსხვავებული სიტუაციაა და გვაქვს სხვადასხვა წონის ჭურჭელი 95-დან 770 გრამამდე.

მოცულობის მხრივ ჯამ-ფიალებში რაიმე განსაკუთრებული კანონზომიერება არ შეინიშნება, თუმცა ზომების მიხედვით მაინც შიძლება გამოვყოთ რამდენიმე ჯგუფი: I - 56-111 მლ (№32, №77 და №105); II – 144-194 მლ (№73, №74, №78, №101 და №111); III - 311-356 მლ, (№31, №46, №48, №79, №120 და №157); IV – 444-489მლ (№19, №75 და №172); V-

506-528 მლ (№86, №115, №126 და №176); VI ჯგუფში კი შედის სამი შედარებით მოზრდილი ჭურჭელი, ესენია: №47 – 667 მლ, №133 – 839 მლ და №71 – 1100 მლ.

2.4. ჭრაქები

ჭრაქები საკვლევ მასალაში 6 ერთეულის სახითაა წარმოდგენილი (ტაბ. XXV). ისინი მორფოლოგიური მახასიათებლებით საკმაოდ ახლოს დგანან ერთმანეთთან და განსხვავება მხოლოდ მცირე დეტალებშია. ყველა მათგანი მორუხო-მონაცრისფროდაა გამომწვარი, ცალ მხარეს აქვს სამსხმელო ტუჩი, ხოლო მის მარჯვენა მხარეს, გვერდზე მიძერწილია ბრტყელი ან ოვალურგანიკვეთიანი, ზემოთ აზიდული ყური.

| № | ჭურჭლის წონა (გ) | მოცულობა (მლ) | სიმაღლე (სმ) | პირის დიამეტრი (სმ) | ძირის დიამეტრი (სმ) | ყურის დიამეტრი (სმ) |
|-----|------------------|---------------|--------------|---------------------|---------------------|---------------------|
| 53 | 250 | 422 | 7 | 12.5 – 13.5 | 10 | 1.1 – 1.5 |
| 55 | 445 | 522 | 9 | 15 - 16 | 8.5 - 9 | 1 – 2.4 |
| 113 | 390 | 1022 | 6.5 | 16 | 8.5 | 0.8 - 2.5 |
| 132 | 575 | 756 | 6 | 17 - 17.5 | 11 | 0.6 - 2.3 |
| 174 | 365 | 678 | 5 | 16 | 11 | 0.8 - 1.5 |
| 178 | 405 | 283 | 4 | 13 | 8.5 | 0.8 - 2 |

2.4.1. ჭრაქები. მეტრული მონაცემები.

ჭრაქების მეტრული პარამეტრებიც მეტ-ნაკლებად ახლოსაა ერთმანეთთან და ასე გამოიყურება. სიმაღლე მერყეობს 4-დან 9 სმ-მდე, პირის დიამეტრი - 12,5-დან 17,5 სმ-მდე, ძირის დიამეტრი - 8.5-დან 11 სმ-მდე, ხოლო ყურის დიამეტრი 0,6-დან 2,5 სმ-მდე. ჭურჭლის წონაც დიდა არ განსხვავდება ერთმანეთისაგან და 250-575 მლ-ის ფარგლებშია. მოცულობის მხრივ, რაიმე განსაკუთრებული კანონზომიერება არ შეიმჩნევა, თუ არ ჩავთვლით იმ ფაქტს, რომ №113 (1022 მლ) №55-ის (522 მლ) დაახლოებით გაორმაგებულ ზომას წარმოადგენს.

2.5. სურები

სურები ოთხი ერთეულის სახითაა წარმოდგენილი და ისინი საკმაოდ დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ ერთმანეთთან (ტაბ. XXVI). ყველა მათგანი შავად ან მორუხოდაა გამომწვარი, აქვს გადაშლილი პირი, მაღალი ყელი, მომრგვალებული მუცელი და ბრტყელი უქუსლო ძირი. მათ პირზე და მუცელზე მიძერწილი აქვთ მრგვალგანიკვეთიანი ყური. ოდნავ განსხვავებულია №128 სურა, რომელსაც არც თუ ისე მაღალი ყელი და მსხლისებრი ფორმის ტანი აქვს.

| № | ჭურჭლის წონა (გ) | მოცულობა (მლ) | სიმაღლე (სმ) | პირის დიამეტრი (სმ) | ძირის დიამეტრი (სმ) | ყურის დიამეტრი (სმ) |
|-----|------------------|---------------|--------------|---------------------|---------------------|---------------------|
| 10 | 675 | 622 | 18 | - | 6.5 | 1.8 |
| 22 | 665 | 828 | 20 | 5.7 | 6 – 6.2 | 1.5 |
| 54 | 385 | 544 | 17 | - | 7 – 7.2 | 1.2 |
| 128 | 440 | 678 | 16.5 | 6.7 | 7.5 | 1.3 |

2.5.1. სურები. მეტრული მონაცემები.

ჭურჭელი მეტრული მახასიათებლებითაც საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან. სიმაღლე 16,5-დან 20 სმ-მდე მერყეობს, პირის დიამეტრი 5,7-დან 6,7 სმ-მდეა, ძირის დიამეტრი 6-7,5 სმ, ხოლო ყურის დიამეტრი 1,2-1,8 სმ-ს შორისაა. განსხვავება თვალში საცემი არც წონისა და მოცულობის მხრივაც. ჭურჭლის წონა 385-675 გრამს შორისაა, ხოლო მოცულობა 544-დან 828 მლ-მდე მერყეობს. მოცულობებში რაიმე განსაკუთრებული კანონზომიერება არც ამ შემთხვევაში შეინიშნება.

2.6. სამფეხები

სამფეხებიც სურების მსგავსად ოთხი ერთეულის სახითაა წარმოდგენილი (ტაბ. XXVII). ისინი მორფოლოგიური თვალსაზრისით საკმაოდ მსგავსებას ამჟღავნებენ ერთმანეთთან. ყველა მათგანი მოჩალისფროდაა გამომწვარი და წითლად შეღებილი. №45-ის გარდა ძირი ყველას მომრგვალებული აქვს. სხვებისგან განსხვავებულია №80 სამფეხაც, რომელსაც გარედან პირთან შემოუყვება წითელი საღებავით შესრულებული ირიბი ხაზები.

| № | ჭურჭლის წონა (გ) | მოცულობა (მლ) | სიმაღლე (სმ) | პირის დიამეტრი (სმ) | ძირის დიამეტრი (სმ) |
|-----|------------------|---------------|--------------|---------------------|---------------------|
| 30 | 335 | 372 | 6.5 | 15 | - |
| 45 | 380 | 444 | 7.5 | 15 – 15.5 | 7 |
| 80 | 470 | 572 | 8 | 17.5 | - |
| 144 | 190 | 217 | - | 12.5 | - |

2.6.1. სამფეხები. მეტრული მონაცემები.

მეტრული პარამეტრებით ისინი მეტ-ნაკლებად ახლოს დგანან ერთმანეთთან. სიმაღლე 6,5-8 სმ, პირის დიამეტრი - 12,5-17,5 სმ. ძირის დიამეტრი მხოლოდ ერთ მათგანს ეზომება და 7 სმ-ის ტოლია. წონა 190-დან 470 გრამამდე მერყეობს, ხოლო მოცულობა 217-დან 572 მლ-მდე.

2.7. ტოლჩები

ტოლჩები საკვლევ მასალაში სულ 2 ერთეულის სახითაა წარმოდგენილი (ტაბ. XXVIII). ისინი მორფოლოგიურ მსგავსებასთან ერთად საკმაო განსხვავებასაც ამჟღავნებენ. ორივე მათგანი შავადაა გამომწვარი და აქვს გადაშლილი პირი, ბრტყელი ძირი და მრგვალგანივკვეთიანი, პირზე და მუცელზე დაძვარილი ყური. განსხვავებაა ტანის ფორმაში. კერძოდ, №118-ს ახასიათებს მომრგვალებული მუცელი და მაღალი კარგად გამოკვეთილი ყელი, ხოლო №125 თითქმის ცილინდრულია და მუცელი და ყელი ოდნავ აქვს გამოკვეთილი.

| № | ჭურჭლის წონა (გ) | მოცულობა (მლ) | სიმაღლე (სმ) | პირის დიამეტრი (სმ) | ძირის დიამეტრი (სმ) | ყურის დიამეტრი (სმ) |
|-----|------------------|---------------|--------------|---------------------|---------------------|---------------------|
| 118 | 910 | 1728 | 16.5 | 12 | 9.5 | 1.2 - 2 |
| 125 | 790 | 667 | 13 | 11 | 8.7 | 1.5 - 1.8 |

2.7.1. ტოლჩები. მეტრული მონაცემები.

მოცულობის გარდა სხვა მეტრული პარამეტრებით ეს ორი ჭურჭელი საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან. სიმაღლე 13-16 სმ, პირის დიამეტრი 11-12 სმ, ძირის დიამეტრი 8,7-9,5 სმ, ხოლო ყურის დიამეტრი 1,2-2 სმ. წონით ისინი ოდნავ განსხვავდება ერთმანეთისაგან №118 - 910 ხოლო №125 790 გრამია. მოცულობით №118 დაახლოებით ერთნახევარჯერ მეტია და 1728 მლ-ია, №125 კი მხოლოდ 667 მლ-ია.

3. მოცულობის ადგილობრივი სტანდარტი

ჭურჭლის მოცულობის განსაზღვრა და იმ კანონზომიერებების დადგენა, რომლებიც შესაძლოა არსებულიყო ზემოთ განხილულ პერიოდების კერამიკულ მასალაში, ნაშრომის ერთერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს. ისეთ განვითარებულ საზოგადოებას, როგორც ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით გრაკლიან გორაზე და ზოგადად აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო და რომელსაც დადასტურებულად ჰქონდა კავშირი მეზობელი რეგიონების, იმ პერიოდის, წამყვან სახელმწიფოებთან, აუცილებლად დასჭირდებოდა რაიმე დადგენილი სტანდარტები ვაჭრობისათვის ან ნებისმიერი სხვა ეკონომიკური აქტივობისათვის. ამისათვის შესაძლოა გამოეყენებინათ უკვე არსებული ერთეულები და სტანდარტები, რომლებიც არსებობდა თუნდაც იმ პერიოდის ასურეთში ან მომდევნო ხანებში აქემენიდურ ირანში. აგრეთვე შეიძლება ჰქონოდათ საკუთარი შემუშავებული სტანდარტები, შიდა მოხმარებისათვის.

ამ საკითხთან მიმართებაში, რაიმე ფუნდამენტური გამოკვლევა, სამწუხაროდ, დღეისათვის არ არსებობს. აქედან გამომდინარე, მოცემული ნაშრომი წარმოადგენს ერთერთ პირველ მცდელობას, გრაკლიანი გორის მაგალითზე, დაადგინოს: ჰქონდა თუ არა გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის ხანასა და აქემენიდურ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ საზოგადოებას განსაზღვრული სტანდარტი კერამიკულ წარმოებაში; გააჩნდათ თუ არა წონისა და მოცულობის დაწესებული ერთეულები; რამდენად ძლიერი იყო მეზობელი რეგიონების, ამ პერიოდების, წამყვან სახელმწიფოებში არსებული სტანდარტების გავლენა ადგილობრივ ბაზარზე.

საინტერესოა, რომ გრაკლიან გორაზე გამოვლენილია რამდენიმე სხვადასხვა ზომისა და წონის დამუშავებული ქვა, რომელიც პროფ. ვახტანგ ლიჩელის აზრით შესაძლოა საწონებს წარმოადგენდეს³. ამ მასალის ანალიზის საფუძველზე იგი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის ხანაში გრაკლიან გორაზე

³ Licheli V., 2017. Intellectual innovations in Georgia (11th-9th cc BC) // Contact zones of Europe from the 3rd mill. BC to the 1st mill. AD. Preliminary publications of conference proceedings. International scientific conference. Moscow, 29 September - 2 October, 2017. P. 83-88.

მცხოვრებ მოსახლეობას ჰქონდა საკუთარი წონის ერთეული და ეს იყო 363 გრამი. წინა აზიის რეგიონების მსგავსად, სადაც გავრცელებული იყო წონისა და მოცულობის ერთეული „მინა“, რომელსაც სხვადასხვა რეგიონებში განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდა (ამაზე დაწვრილებით ვისაუბრებთ მომდევნო პარაგრაფში), შესაძლოა აღმოსავლეთ საქართველოში და კერძოდ გრაკლიან გორაზე მცხოვრებ მოსახლეობასაც ჰქონდა საკუთარი ერთეული. პროფ. ვახტანგ ლიჩელი მსგავს ერთეულად მიიჩნევს 363 გრამს და მას „გრაკლიანის მინას“ უწოდებს.

ნაშრომში განხილული მასალა, როგორც გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის აგრეთვე აქემენიდური ხანიდან, საკმაოდ დიდ კანონზომიერებას ამჟღავნებს აღნიშნულ ერთეულთან მიმართებაში. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ის ჭურჭლები, რომელთა მოცულობაც ახლოსაა „გრაკლიანის მინის“ ჯერად რიცხვებთან. გამომდინარე იქედან, რომ არასრული წონების გამოყენება ამ პერიოდებამდე უკვე კარგა ხნით ადრე იყო ცნობილი ცივილიზებული სამყაროსთვის, ცხრილებში მთელთან ერთად აგრეთვე მოცემულია ნახევარი, მესამედი და მეოთხედი ზომები.

| № | მოცულობა (მლ) | ფარდობა | გადახრა |
|-----|---------------|------------------|---------|
| 43 | 122 | $\frac{1}{3} X$ | 0.8% |
| 6 | 233 | $\frac{2}{3} X$ | 3.7% |
| 65 | 250 | $\frac{2}{3} X$ | 3.3% |
| 35 | 267 | $\frac{3}{4} X$ | 1.9% |
| 50 | 278 | $\frac{3}{4} X$ | 2.1% |
| 18 | 472 | $1\frac{1}{3} X$ | 2.5% |
| 56 | 728 | $2X$ | 0.3% |
| 83 | 889 | $2\frac{1}{2} X$ | 2% |
| 82 | 1289 | $3\frac{1}{2} X$ | 1.5% |
| 57 | 1306 | $3\frac{1}{2} X$ | 2.8% |
| 138 | 1644 | $4\frac{1}{2} X$ | 0.6% |
| 11 | 1722 | $4\frac{3}{4} X$ | 0.1% |
| 60 | 2544 | $7X$ | 0.1% |
| 16 | 2867 | $8X$ | 1.3% |
| 90 | 3128 | $8\frac{2}{3} X$ | 0.6% |

3.1. გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის მასალა. ფარდობა „გრაკლიანის მინასთან“.

გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის 20 ჭურჭლიდან 15 მოცულობით ძალზე ახლოს დგას „გრაკლიანის მინასთან“. გვაქვს მისი 1/3, 2/3, 3/4 ზომის, აგრეთვე 2-ჯერ, 7-ჯერ და 8-ჯერ დიდი მოცულობის ჭურჭლები. საზოგადოდ მიღებულია, რომ 5%-იანი გადახრა ამ პერიოდისათვის დასაშვებია. თუმცა, ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს მაქსიმუმ 3.7%-იანი გადახრა, ხოლო საშუალო მაჩვენებელი სულ რაღაც 1.6%-ია, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები მიგვითითებს, რომ გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის ხანაში გრაკლიან გორაზე მცხოვრებ მოსახლეობას უკვე ჰქონდა წონისა და მოცულობის საკუთარი შემუშავებული სტანდარტი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ვიხილავთ რა მდგომარეობაა ამ მხრივ აქემენიდურ პერიოდში, ანუ ძვ.წ. V-IV საუკუნეებში.

| № | მოცულობა (მლ) | ფარდობა | გადახრა |
|-----|---------------|------------------|---------|
| 42 | 89 | 1/4 X | 1.9% |
| 168 | 117 | 1/3 X | 3.3% |
| 110 | 122 | 1/3 X | 0.8% |
| 111 | 178 | 1/2 X | 1.9% |
| 161 | 233 | 2/3 X | 3.7% |
| 63 | 239 | 2/3 X | 1.2% |
| 123 | 267 | 3/4 X | 1.9% |
| 44 | 278 | 3/4 X | 2.1% |
| 127 | 278 | 3/4 X | 2.1% |
| 46 | 356 | X | 1.9% |
| 107 | 361 | X | 0.6% |
| 91 | 361 | X | 0.6% |
| 167 | 367 | X | 1.1% |
| 30 | 372 | X | 2.4% |
| 26 | 372 | X | 2.4% |
| 137 | 444 | $1\frac{1}{4}$ X | 2.1% |
| 45 | 444 | $1\frac{1}{4}$ X | 2.1% |
| 19 | 444 | $1\frac{1}{4}$ X | 2.1% |
| 5 | 450 | $1\frac{1}{4}$ X | 0.8% |
| 97 | 456 | $1\frac{1}{4}$ X | 0.8% |
| 66 | 467 | $1\frac{1}{4}$ X | 2.9% |
| 116 | 478 | $1\frac{1}{3}$ X | 1.2% |
| 172 | 478 | $1\frac{1}{3}$ X | 1.2% |
| 29 | 489 | $1\frac{1}{3}$ X | 1.0% |

| | | | |
|-----|------|-----------------|------|
| 75 | 489 | $1\frac{1}{3}X$ | 1.0% |
| 62 | 494 | $1\frac{1}{3}X$ | 2.0% |
| 86 | 528 | $1\frac{1}{2}X$ | 3.0% |
| 87 | 533 | $1\frac{1}{2}X$ | 2.1% |
| 54 | 544 | $1\frac{1}{2}X$ | 0.1% |
| 72 | 556 | $1\frac{1}{2}X$ | 2.1% |
| 40 | 556 | $1\frac{1}{2}X$ | 2.1% |
| 129 | 589 | $1\frac{2}{3}X$ | 2.6% |
| 151 | 611 | $1\frac{2}{3}X$ | 1.0% |
| 10 | 622 | $1\frac{2}{3}X$ | 2.6% |
| 134 | 644 | $1\frac{3}{4}X$ | 1.4% |
| 173 | 700 | 2X | 3.6% |
| 37 | 711 | 2X | 2.0% |
| 121 | 728 | 2X | 0.3% |
| 41 | 744 | 2X | 2.5% |
| 159 | 750 | 2X | 3.3% |
| 103 | 794 | $2\frac{1}{4}X$ | 2.8% |
| 139 | 811 | $2\frac{1}{4}X$ | 0.7% |
| 179 | 811 | $2\frac{1}{4}X$ | 0.7% |
| 22 | 828 | $2\frac{1}{4}X$ | 1.4% |
| 142 | 828 | $2\frac{1}{4}X$ | 1.4% |
| 148 | 833 | $2\frac{1}{3}X$ | 1.7% |
| 133 | 839 | $2\frac{1}{3}X$ | 0.9% |
| 25 | 867 | $2\frac{1}{3}X$ | 2.4% |
| 162 | 894 | $2\frac{1}{2}X$ | 1.5% |
| 96 | 922 | $2\frac{1}{2}X$ | 1.6% |
| 119 | 928 | $2\frac{1}{2}X$ | 2.2% |
| 166 | 967 | $2\frac{2}{3}X$ | 0.1% |
| 117 | 1061 | 3X | 2.6% |
| 71 | 1100 | 3X | 1.0% |
| 136 | 1111 | 3X | 2.0% |
| 165 | 1167 | $3\frac{1}{4}X$ | 1.1% |
| 170 | 1178 | $3\frac{1}{4}X$ | 0.0% |
| 13 | 1189 | $3\frac{1}{4}X$ | 0.8% |

| | | | |
|-----|------|------------------|------|
| 34 | 1222 | $3\frac{1}{3}X$ | 1.0% |
| 158 | 1239 | $3\frac{1}{3}X$ | 2.4% |
| 84 | 1261 | $3\frac{1}{2}X$ | 0.7% |
| 94 | 1278 | $3\frac{1}{2}X$ | 0.6% |
| 171 | 1367 | $3\frac{3}{4}X$ | 0.4% |
| 131 | 1417 | 4X | 2.4% |
| 150 | 1494 | 4X | 2.9% |
| 177 | 1506 | $4\frac{1}{4}X$ | 2.4% |
| 140 | 1606 | $4\frac{1}{2}X$ | 1.7% |
| 102 | 1678 | $4\frac{2}{3}X$ | 0.9% |
| 8 | 1711 | $4\frac{3}{4}X$ | 0.8% |
| 118 | 1728 | $4\frac{3}{4}X$ | 0.2% |
| 146 | 1744 | $4\frac{3}{4}X$ | 1.1% |
| 175 | 1772 | 5X | 2.4% |
| 169 | 1811 | 5X | 0.2% |
| 99 | 1844 | 5X | 1.6% |
| 12 | 1867 | $5\frac{1}{4}X$ | 2.0% |
| 114 | 1878 | $5\frac{1}{4}X$ | 1.5% |
| 1 | 1889 | $5\frac{1}{4}X$ | 0.9% |
| 3 | 2028 | $5\frac{2}{3}X$ | 1.4% |
| 145 | 2294 | $6\frac{1}{3}X$ | 0.2% |
| 9 | 2522 | 7X | 0.7% |
| 147 | 2900 | 8X | 0.1% |
| 92 | 2950 | 8X | 1.6% |
| 2 | 3000 | $8\frac{1}{4}X$ | 0.2% |
| 4 | 3178 | $8\frac{3}{4}X$ | 0.1% |
| 7 | 3522 | $9\frac{2}{3}X$ | 0.4% |
| 14 | 3811 | $10\frac{1}{2}X$ | 0.0% |
| 85 | 4267 | $11\frac{3}{4}X$ | 0.0% |
| 88 | 4778 | 13X | 1.3% |
| 89 | 4856 | $13\frac{1}{3}X$ | 0.3% |
| 15 | 5189 | $14\frac{1}{3}X$ | 0.3% |
| 17 | 8611 | 24X | 1.2% |

3.2. აქემენიდური ხანის მასალა. ფარდობა „გრაკლიანის მინასთან“.

აქემენიდური ეპოქის მასალაც, კერძოდ 91 ჭურჭელი, საკმაო სიახლოვეს ამჟღავნებს მოცემულ ერთეულთან. გვაქვს როგორც არასრული (1/3, 1/2, 2/3, 3/4 და ა.შ.) აგრეთვე სრული ზომები (1X, 2X, 3X და ა.შ.). მაქსიმალური გადახრა ისევე როგორც წინა შემთხვევაში, აქაც 3.7%-ია, ხოლო საშუალო მაჩვენებელი ამ შემთხვევაში კიდევ უფრო დაბალია - 1.5%. ეს შესაძლოა იმის დამადასტურებლად მივიჩნიოთ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში გრაკლიან გორაზე არსებობას განაგრძობს ერთი და იგივე კულტურა, რომელიც აგრძელებს გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის ტრადიციებს.

საინტერესოა ფაქტი, რომ წინა თავებში განხილული სამი ქოთანი (№117, №121 და №150) (ტაბ. XX), რომლებიც სხვებისაგან გამოირჩევიან იმით, რომ ყურის ყელთან შეერთების ადგილზე დატანილი აქვთ ჯვრისებური გამოსახულება, მოცულობის მხრივ საერთოს პოულობენ „გრაკლიანის მინასთან“. კერძოდ №121 წარმოადგენს ორმაგი მოცულობის ჭურჭელს, გადახრა სულ რაღაც 0.3%-ია, რაც ამ შემთხვევაში ძალზე უმნიშვნელოა. №117 რომელსაც ყურზე მზის სიმბოლურ გამოსახულებაში ჩასმული ჯვრისებრი ფორმა აქვს, 3-ჯერ დიდი მოცულობისაა, გადახრა - 2.6%. ხოლო №150 კი „გრაკლიანის მინის“ გაოთხმაგებული მოცულობისაა, გადახრა აქაც უმნიშვნელოა და სულ რაღაც 2.9%-ია.

აღნიშნული მოცემულობა კიდევ უფრო ამტკიცებს ვარაუდს, რომ გრაკლიანი გორის მცხოვრებლებს ჰქონდათ წონისა და მოცულობის დადგენილი სტანდარტები. რაც გამოიხატებოდა ადგილობრივი ერთეულის არსებობაში (363 გრამი), რომელზეც აწყობილი იყო მთელი სავაჭრო-ეკონომიკური სისტემა. რამდენად იყო ეს ერთეული გავრცელებული გრაკლიანი გორის გარეთ და იყო თუ არა იგი საერთო აღმოსავლეთ საქართველოს სხვა დასახლებებისთვის, ამაზე საუბარი ჯერჯერობით რთულია და შემდგომ კვლევა ძიებას საჭიროებს. თუმცა გვაქვს მონაცემები, რომლებიც სამომავლოდ დამაიმედებელი პროგნოზის გაკეთების საშუალებას იძლევა. მაგალითად, პროფ. ვახტანგ ლიჩელი „გრაკლიანის მინას“ უკავშირებს სამხრეთ საქართველოში, მზეთამზეს სამაროვანზე, ძვ.წ. VIII-VII სს. სამარხებში გამოვლენილ ბრინჯაო რგოლებს, რომლებიც წონით საკმაოდ ახლო კანონზომიერებას პოულობენ მოცემულ ერთეულთან.

4. შედარება მეზობელ რეგიონებში არსებულ სტანდარტებთან

ძველ სამყაროში, კერძოდ ახლო აღმოსავლეთსა და მის მოსაზღვრე რეგიონებში, წონის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ერთეული იყო „მინა“, რომელიც აგრეთვე მოცულობის ერთეულადაც გამოიყენებოდა. საწყის ერთეულად აღებული იყო 1 „მინა“ წყალი. „მინა“ თავისი რიცხვითი მნიშვნელობით განსხვავებული იყო სხვადასხვა პერიოდებსა და სახელმწიფოებში. მაგალითად: მესოპოტამიური მინა – 504 გ, გაორმაგებული ე.წ. „მძიმე მინა“ – 1008 გ, ახლო აღმოსავლური „მსუბუქი მინა“ – 470 გ, აქემენიდური მინა – 600 გ, ატიკური მინა – 431 გ და ა.შ.⁴

ნაშრომში მოცემული მასალა საერთო კანონზომიერებას პოულობს რამდენიმე მათგანთან, რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, ზოგიერთი ჭურჭელი კანონზომიერებაშია რამდენიმე ერთეულთან მიმართებაში. გამომდინარე აქედან, რთულია მათი რომელიმე კონკრეტულისთვის მიკუთვნება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოცემულ ცხრილებში დაფიქსირებულია ის სტატისტიკური მონაცემები, რომლებსაც გვაწვდის ამა თუ იმ პერიოდის მასალა და ფაქტი, რომ ჭურჭელი გაერთიანებულია მიმდევრობაში, არ მიუთითებს მის უპირობო კავშირზე რომელიმე ერთეულთან ან იმ რეგიონთან სადაც ის იყო გავრცელებული.

დავიწყოთ „მესოპოტამიური მინით“, რომელიც ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან წარმოადგენდა ერთერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ერთეულს მთელი წინა აზიის ტერიტორიაზე. არსებობდა „მესოპოტამიური მინის“ ორი განსხვავებული ვარიანტი, პირველის წონა შეადგენდა 504 გრამს და მისი გამოყენება თავდაპირველად ასურეთის ტერიტორიაზე დაიწყო, ხოლო მეორე იყო ე.წ. „მძიმე მინა“, რომელიც გაორმაგებული ზომისა იყო და 1008 გრამს იწონიდა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩვენ ვხედავთ, რომ გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის ხანის მასალაში ვაწყდებით გარკვეულ კანონზომიერებებს აღნიშნულ ერთეულთან. კერძოდ, მასთან

⁴ The Britannica Guide to Numbers and Measurement / Ed. by William L. Hosch. 1st ed. New York: Britannica Educational Publishing, 2011. 288 p.

კანონზომიერებაშია 12 ჭურჭელი, რომლებშიც ვხვდებით როგორც მთელ ისე არასრულ ერთეულებს. მაქსიმალური გადახრა 3,2%, ხოლო საშუალო გადახრა სულ რაღაც 1,5%-ია.

| № | მოცულობა (მლ) | ფარდობა | გადახრა |
|-----|---------------|---------------------------------|---------|
| 52 | 50 | 1/10 X | 0.8% |
| 43 | 122 | 1/4 X | 3.2% |
| 65 | 250 | 1/2 X | 0.8% |
| 51 | 511 | X | 1.4% |
| 83 | 889 | 1 ³ / ₄ X | 0.8% |
| 82 | 1289 | 2 ¹ / ₂ X | 2.3% |
| 57 | 1306 | 2 ² / ₃ X | 2.8% |
| 138 | 1644 | 3 ¹ / ₄ X | 0.4% |
| 11 | 1722 | 3 ¹ / ₂ X | 2.9% |
| 60 | 2544 | 5 X | 1.0% |
| 16 | 2867 | 5 ² / ₃ X | 0.4% |
| 90 | 3128 | 6 ¹ / ₄ X | 0.7% |

4.1. გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის მასალა. ფარდობა „მესოპოტამიურ მინასთან“.

„მესოპოტამიური მინა“ წინა თავში განხილული ადგილობრივი ერთეულის მერე ყველაზე მეტ კანონზომიერებას პოულობს აქემენიდური ხანის მასალასთანაც. ქვემოთ თქვენ შეგიძლიათ იხილოთ, რომ გვაქვს როგორც მთელი, აგრეთვე არასრული მოცულობები, რომლებიც საკმაოდ ახლოს დგანან აღნიშნულ ერთეულთან, სულ 67 ჭურჭელი. მაქსიმალური გადახრა ამ შემთხვევაშიც 3,2%-ია, ხოლო საშუალო გადახრა დაახლოებით 1%, რაც ძალზე უმნიშვნელოა მიღებულ სტანდარტთან (5%) შედარებით.

| № | მოცულობა (მლ) | ფარდობა | გადახრა |
|-----|---------------|---------|---------|
| 110 | 122 | 1/4 X | 3.2% |
| 124 | 167 | 1/3 X | 0.6% |
| 78 | 167 | 1/3 X | 0.6% |
| 98 | 172 | 1/3 X | 2.4% |
| 160 | 256 | 1/2 X | 1.6% |
| 69 | 256 | 1/2 X | 1.6% |
| 155 | 328 | 2/3 X | 2.9% |
| 108 | 333 | 2/3 X | 0.9% |
| 48 | 333 | 2/3 X | 0.9% |
| 100 | 344 | 2/3 X | 2.9% |

| | | | |
|-----|-----|------------------|------|
| 79 | 344 | $\frac{2}{3} X$ | 2.9% |
| 30 | 372 | $\frac{3}{4} X$ | 1.6% |
| 26 | 372 | $\frac{3}{4} X$ | 1.6% |
| 24 | 378 | $\frac{3}{4} X$ | 0.0% |
| 164 | 383 | $\frac{3}{4} X$ | 1.3% |
| 62 | 494 | X | 2.0% |
| 38 | 500 | X | 0.8% |
| 122 | 500 | X | 0.8% |
| 176 | 506 | X | 0.4% |
| 126 | 511 | X | 1.4% |
| 10 | 622 | $1\frac{1}{4} X$ | 1.3% |
| 134 | 644 | $1\frac{1}{4} X$ | 1.9% |
| 36 | 661 | $1\frac{1}{3} X$ | 1.6% |
| 125 | 667 | $1\frac{1}{3} X$ | 0.7% |
| 39 | 667 | $1\frac{1}{3} X$ | 0.7% |
| 47 | 667 | $1\frac{1}{3} X$ | 0.7% |
| 135 | 678 | $1\frac{1}{3} X$ | 0.9% |
| 128 | 678 | $1\frac{1}{3} X$ | 0.9% |
| 67 | 678 | $1\frac{1}{3} X$ | 0.9% |
| 174 | 678 | $1\frac{1}{3} X$ | 0.9% |
| 41 | 744 | $1\frac{1}{2} X$ | 1.6% |
| 159 | 750 | $1\frac{1}{2} X$ | 0.8% |
| 132 | 756 | $1\frac{1}{2} X$ | 0.0% |
| 180 | 761 | $1\frac{1}{2} X$ | 0.7% |
| 104 | 767 | $1\frac{1}{2} X$ | 1.5% |
| 22 | 828 | $1\frac{2}{3} X$ | 1.4% |
| 142 | 828 | $1\frac{2}{3} X$ | 1.4% |
| 148 | 833 | $1\frac{2}{3} X$ | 0.8% |
| 133 | 839 | $1\frac{2}{3} X$ | 0.1% |
| 163 | 878 | $1\frac{3}{4} X$ | 0.5% |
| 93 | 889 | $1\frac{3}{4} X$ | 0.8% |

| | | | |
|-----|------|------------------|------|
| 109 | 889 | $1\frac{3}{4}X$ | 0.8% |
| 112 | 1022 | $2X$ | 1.4% |
| 149 | 1022 | $2X$ | 1.4% |
| 113 | 1022 | $2X$ | 1.4% |
| 130 | 1133 | $2\frac{1}{4}X$ | 0.1% |
| 59 | 1144 | $2\frac{1}{4}X$ | 0.9% |
| 170 | 1178 | $2\frac{1}{3}X$ | 0.2% |
| 84 | 1261 | $2\frac{1}{2}X$ | 0.1% |
| 171 | 1367 | $2\frac{3}{4}X$ | 1.4% |
| 177 | 1506 | $3X$ | 0.4% |
| 102 | 1678 | $3\frac{1}{3}X$ | 0.1% |
| 175 | 1772 | $3\frac{1}{2}X$ | 0.5% |
| 99 | 1844 | $3\frac{2}{3}X$ | 0.2% |
| 1 | 1889 | $3\frac{3}{4}X$ | 0.1% |
| 3 | 2028 | $4X$ | 0.6% |
| 145 | 2294 | $4\frac{1}{2}X$ | 1.2% |
| 9 | 2522 | $5X$ | 0.1% |
| 147 | 2900 | $5\frac{3}{4}X$ | 0.1% |
| 2 | 3000 | $6X$ | 0.8% |
| 4 | 3178 | $6\frac{1}{3}X$ | 0.4% |
| 7 | 3522 | $7X$ | 0.2% |
| 85 | 4267 | $8\frac{1}{2}X$ | 0.4% |
| 88 | 4778 | $9\frac{1}{2}X$ | 0.2% |
| 89 | 4856 | $9\frac{2}{3}X$ | 0.3% |
| 15 | 5189 | $10\frac{1}{4}X$ | 0.4% |
| 17 | 8611 | $17X$ | 0.5% |

4.2. აქემენიდური ხანის მასალა. ფარდობა „მესოპოტამიურ მინასთან“.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ძვ.წ. V-IV საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველო და მათ შორის, რა თქმა უნდა, გრაკლიანი გორაც ძლიერი აქემენიდური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ისტორიული წყაროების გარდა ამას უხვად გამოვლენილი არქეოლოგიური მასალაც მოწმობს. გამომდინარე აქედან, საინტერესოა რა მიმართებაშია გრაკლიანი გორის ამ პერიოდის კერამიკული მასალის მოცულობა აქემენიდურ იმპერიაში არსებულ ერთეულებთან.

აქემენიდურ სპარსეთში არსებობდა წონისა და მოცულობის ორი ძირითადი ერთეული, ესენი იყო: „არაწესიერი(profane) მინა“, რომელიც დაახლოებით 500 გრამს უტოლდებოდა და წმინდა(sacred) მინა - დაახლოებით 600 გრამი. „მესოპოტამიური მინის“ კანონზომიერება დიდი რაოდენობით ჭურჭელთან, შესაძლოა იმითაც იყოს განპირობებული, რომ აქემენიდური „არაწესიერი მინა“ თავისი ზომით საკმაოდ ახლოს დგას მასთან. ამ ფაქტიდან გამომდინარე ალბათ საჭირო არ არის ცალკე ცხრილის სახით იმის ჩვენება თუ რა მიმართებაა აქემენიდურ „არაწესიერ მინასა“ და ჩვენს საკვლევ მასალას შორის, ვინაიდან მონაცემები ძალზე ახლოსაა ზემოთ წარმოდგენილ ცხრილთან. ამიტომაც დავიწყეთ აქემენიდური „წმინდა მინის“ განხილვით, რომელიც არა ნაკლებ კანონზომიერებას ავლენს ნაშრომში განხილულ მასალასთან.

| № | მოცულობა (მლ) | ფარდობა | გადახრა |
|-----|---------------|-------------------|---------|
| 101 | 144 | 1/4 X | 4.0% |
| 152 | 144 | 1/4 X | 4.0% |
| 73 | 156 | 1/4 X | 4.0% |
| 64 | 200 | 1/3 X | 0.0% |
| 68 | 306 | 1/2 X | 2.0% |
| 137 | 444 | 3/4 X | 1.3% |
| 45 | 444 | 3/4 X | 1.3% |
| 19 | 444 | 3/4 X | 1.3% |
| 5 | 450 | 3/4 X | 0.0% |
| 97 | 456 | 3/4 X | 1.3% |
| 129 | 589 | X | 1.8% |
| 151 | 611 | X | 1.8% |
| 41 | 744 | 1 $\frac{1}{4}$ X | 0.8% |
| 159 | 750 | 1 $\frac{1}{4}$ X | 0.0% |
| 132 | 756 | 1 $\frac{1}{4}$ X | 0.8% |
| 103 | 794 | 1 $\frac{1}{3}$ X | 0.8% |
| 139 | 811 | 1 $\frac{1}{3}$ X | 1.4% |
| 179 | 811 | 1 $\frac{1}{3}$ X | 1.4% |
| 93 | 889 | 1 $\frac{1}{2}$ X | 1.2% |
| 109 | 889 | 1 $\frac{1}{2}$ X | 1.2% |
| 162 | 894 | 1 $\frac{1}{2}$ X | 0.7% |
| 96 | 922 | 1 $\frac{1}{2}$ X | 2.4% |
| 112 | 1022 | 1 $\frac{2}{3}$ X | 2.2% |

| | | | |
|-----|------|-----------------|------|
| 149 | 1022 | $1\frac{2}{3}X$ | 2.2% |
| 113 | 1022 | $1\frac{2}{3}X$ | 2.2% |
| 117 | 1061 | $1\frac{3}{4}X$ | 1.0% |
| 13 | 1189 | 2X | 0.9% |
| 34 | 1222 | 2X | 1.8% |
| 158 | 1239 | 2X | 3.3% |
| 171 | 1367 | $2\frac{1}{4}X$ | 1.3% |
| 131 | 1417 | $2\frac{1}{3}X$ | 1.2% |
| 150 | 1494 | $2\frac{1}{2}X$ | 0.4% |
| 177 | 1506 | $2\frac{1}{2}X$ | 0.4% |
| 140 | 1606 | $2\frac{2}{3}X$ | 0.4% |
| 175 | 1772 | 3X | 1.6% |
| 169 | 1811 | 3X | 0.6% |
| 99 | 1844 | 3X | 2.4% |
| 3 | 2028 | $3\frac{1}{3}X$ | 1.4% |
| 9 | 2522 | $4\frac{1}{4}X$ | 1.1% |
| 92 | 2950 | 5X | 1.7% |
| 2 | 3000 | 5X | 0.0% |
| 4 | 3178 | $5\frac{1}{3}X$ | 0.7% |
| 14 | 3811 | $6\frac{1}{3}X$ | 0.3% |
| 85 | 4267 | 7X | 1.6% |
| 88 | 4778 | 8X | 0.5% |
| 89 | 4856 | 8X | 1.2% |
| 15 | 5189 | $8\frac{2}{3}X$ | 0.2% |

4.3. აქემენიდური ხანის მასალა. ფარდობა აქემენიდურ „წმინდა მინასთან“.

როგორც ცხრილიდან ხედავთ, გვაქვს როგორც მთელი ასევე არასრული ზომები, თუმცა ამ შემთხვევაში მთელი ზომები, წინა მიმდევრობებთან შედარებით, უფრო დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი. სულ წარმოდგენილია 47 ჭურჭელი, სადაც მაქსიმალური გადახრა ამ შემთხვევაში 4%-ია, ხოლო საშუალო გადახრა სულ რაღაც 1,4%. მოცემულ პერიოდში არსებული ძლიერი აქემენიდური გავლენიდან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს ბოლო ორ ცხრილში ნაჩვენები მონაცემები, რომლებიც საკვლევი მასალის მოცულობების აქემენიდურ სპარსეთში გავრცელებულ

ერთეულებთან სიახლოვეზე მიუთითებს, თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არ ნიშნავს რომელიმე კონკრეტული ჭურჭლის უპირობო კავშირს აქემენიდურ სამყაროსთან. ვინაიდან ზოგიერთი მათგანი, განსაკუთრებით კი დიდი ზომის მქონე ერთეულები, რამდენიმე მიმდევრობაში ერთიანდება. აღნიშნულის კარგი დასტურია, ბერძნულ სამყაროში გავრცელებული ე.წ. „ატიკური მინა“, რომელთანაც 48 ჭურჭელი პოულობს გარკვეულ კანონზომიერებას. „ატიკური მინა“ 100 ბერძნული დრაქმის ეკვივალენტს წარმოადგენდა და დაახლოებით 431 გრამს შეადგენდა (1 დრაქმა \approx 4,31 გ). იგი ფართოდ იყო გავრცელებული ხმელთაშუა და შავი ზღვის აუზებში, თუმცა რა ინტენსივობით გამოიყენებოდა იგი, ამ პერიოდში, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ამის შესახებ მონაცემები, ჯერჯერობით, არ მოგვეპოვება.

| № | მოცულობა (მლ) | ფარდობა | გადახრა |
|-----|---------------|------------------|---------|
| 156 | 106 | 1/4 X | 1.9% |
| 101 | 144 | 1/3 X | 0.0% |
| 152 | 144 | 1/3 X | 0.0% |
| 143 | 211 | 1/2 X | 2.3% |
| 153 | 211 | 1/2 X | 2.3% |
| 144 | 217 | 1/2 X | 0.5% |
| 106 | 222 | 1/2 X | 2.8% |
| 178 | 283 | 2/3 X | 1.8% |
| 49 | 317 | 3/4 X | 1.9% |
| 31 | 322 | 3/4 X | 0.3% |
| 120 | 322 | 3/4 X | 0.3% |
| 155 | 328 | 3/4 X | 1.6% |
| 53 | 422 | X | 2.1% |
| 23 | 428 | X | 0.7% |
| 28 | 433 | X | 0.5% |
| 137 | 444 | X | 3.0% |
| 45 | 444 | X | 3.0% |
| 19 | 444 | X | 3.0% |
| 87 | 533 | $1\frac{1}{4}$ X | 1.1% |
| 54 | 544 | $1\frac{1}{4}$ X | 0.9% |
| 80 | 572 | $1\frac{1}{3}$ X | 0.7% |
| 141 | 578 | $1\frac{1}{3}$ X | 0.3% |
| 134 | 644 | $1\frac{1}{2}$ X | 0.5% |
| 37 | 711 | $1\frac{2}{3}$ X | 1.3% |

| | | | |
|-----|------|-----------------|------|
| 121 | 728 | $1\frac{2}{3}X$ | 1.1% |
| 159 | 750 | $1\frac{3}{4}X$ | 0.5% |
| 132 | 756 | $1\frac{3}{4}X$ | 0.3% |
| 25 | 867 | 2X | 0.6% |
| 163 | 878 | 2X | 1.9% |
| 166 | 967 | $2\frac{1}{4}X$ | 0.3% |
| 112 | 1022 | $2\frac{1}{3}X$ | 1.4% |
| 149 | 1022 | $2\frac{1}{3}X$ | 1.4% |
| 113 | 1022 | $2\frac{1}{3}X$ | 1.4% |
| 59 | 1144 | $2\frac{2}{3}X$ | 0.7% |
| 95 | 1161 | $2\frac{2}{3}X$ | 0.8% |
| 170 | 1178 | $2\frac{3}{4}X$ | 0.6% |
| 13 | 1189 | $2\frac{3}{4}X$ | 0.3% |
| 94 | 1278 | 3X | 1.2% |
| 8 | 1711 | 4X | 0.8% |
| 118 | 1728 | 4X | 0.2% |
| 146 | 1744 | 4X | 1.2% |
| 9 | 2522 | 6X | 2.5% |
| 2 | 3000 | 7X | 0.6% |
| 7 | 3522 | 8X | 2.1% |
| 14 | 3811 | 9X | 1.8% |
| 88 | 4778 | 11X | 0.8% |
| 15 | 5189 | 12X | 0.3% |
| 17 | 8611 | 20X | 0.1% |

4.4. აქემენიდური ხანის მასალა. ფარდობა „ატიკურ მინასთან“.

როგორც ხედავთ მოცემული 48 ჭურჭლიდან გვაქვს, როგორც მთელი აგრეთვე არასრული ზომები, თუმცა, ყველა სხვა მიმდევრობისგან განსხვავებით, აქ მთელი ზომები გაცილებით დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი. მაქსიმალური გადახრა „ატიკური მინის“ შემთხვევაში 3%-ია, ხოლო საშუალო გადახრა, სულ რაღაც 1.2%. ალბათ გადამეტებული იქნება გრაკლიან გორაზე ბერძნული გავლენის არსებობის შესახებ საუბარი, თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძვ.წ. V-IV სს-ში, სხვებთან ერთად, აქ უკვე იცნობდნენ და იყენებდნენ წონისა და მოცულობის ბერძნულ ერთეულებსაც.

დასკვნა

ნაშრომში განხილული მასალის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ გრაკლიან გორაზე გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის ხანასა და აქემენიდურ პერიოდში არსებობდა განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე მდგომი კულტურა, რომელსაც კავშირი ჰქონდა იმ პერიოდის წამყვან სახელმწიფოებთან. ამ კულტურამ განვითარების პიკს მიაღწია ძვ.წ. V-IV საუკუნეებში, რასაც მოწმობს შესაბამისი პერიოდის კერამიკული მასალა, როგორც ნამოსახლარიდან ასევე სამაროვნიდან.

უკანასკნელი აღმოჩენების შედეგად ძეგლზე გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის ხანის კულტურულ ფენაში გამოვლინდა უცნობი დამწერლობის ნიმუში, რომელიც ძვ.წ. XI-X საუკუნეების მიჯნით თარიღდება და რომლის წაკითხვაც ჯერჯერობით ვერ ხერხდება. იგი წარმოადგენს დამწერლობის დღეისათვის ცნობილ უძველესს ნიმუშს კავკასიის ტერიტორიაზე. თავისთავად დამწერლობის არსებობა უკვე აქ დაწინაურებული საზოგადოების არსებობაზე მიუთითებს. ამ მოსაზრებას მხარს უბამს ნაშრომში მოცემული კერამიკული მასალის ანალიზიც.

გრაკლიან გორაზე მცხოვრებ მოსახლეობას, ჯერ კიდევ გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის ხანაში ჰქონდა შემუშავებული კერამიკული წარმოების მაღალგანვითარებული სტანდარტი, რაც გამოიხატებოდა მოცულობის დადგენილი ერთეულის არსებობასა და ჭურჭლის ფორმების მიხედვით სტანდარტიზებულ წარმოებაში. კვლევა გვიჩვენებს, რომ ძვ.წ. V-IV საუკუნეებში გრაკლიან გორაზე არსებობას განაგრძობს იგივე კულტურის მატარებელი მოსახლეობა, რომელიც აგრძელებს გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის ხანაში არსებულ ტრადიციებს. კერძოდ ამ პერიოდის მანძილზე აქტიურ ხმარებაშია მოცულობის ერთი და იგივე ერთეული და იგი შეადგენს დაახლოებით 363 გრამს. კულტურულ დაწინაურებაზე უნდა მიუთითებდეს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ოსტატებს შეეძლოთ ერთი და იგივე მასის თიხისაგან დაემზადებინათ ერთი და იგივე მოცულობის ჭურჭელი, სხვა იდენტური მეტრული და მორფოლოგიური პარამეტრებით, რაც დასტურდება, როგორც აქემენიდური პერიოდის, ასევე გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის ხანის მასალაში.

სავარაუდოდ გრაკლიანი გორა წარმოადგენდა ჩრდილო კავკასიისა და წინა აზიის დამაკავშირებელი სავაჭრო გზის ერთერთ პერიფერიულ განშტოებას. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ კერამიკულ მასალაში დასტურდება კავშირი იმ პერიოდის ეკონომიკურად წამყვან სახელმწიფოებში არსებული მოცულობის ერთეულებთან. ჯერ „მესოპოტამიურ მინასთან“, რომელიც ასურეთის იმპერიაში ყველაზე ფართოდ გავრცელებულ სტანდარტს წარმოადგენდა, ხოლო შემდეგ ორ აგრეთვე დომინანტ ერთეულთან, „აქემენიდურ მინასთან“ და „ატიკურ მინასთან“, რომლებიც შესაბამისად აქემენიდური სპარსეთისა და ანტიკური საბერძნეთის ეკონომიკური სისტემის მთავარ, ეტალონურ ერთეულებს წარმოადგენდა.

შესავალშივე აღინიშნა, რომ უკანასკნელ აღმოჩენებამდე გავრცელებული იყო მოსაზრება, ძვ.წ. V-IV საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ცხოვრების კულტურულ და ეკონომიკურ დაკნინებაზე, თუმცა გრაკლიანი გორის კერამიკული მასალის ანალიზითაც კი ნათლად ჩანს, რომ ეს მოსაზრება სიმართლეს არ შეესაბამება. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ამ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არათუ დაკნინებული, არამედ კულტურულად და ეკონომიკურად განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე მდგომი საზოგადოება ცხოვრობდა.

ბიბლიოგრაფია

1. დავლიანიძე რ., სადრაძე ვ.; რედაქტორი: აფაქიძე ა.; ნარეკვავის ნამოსახლარი და სამაროვანი: შიდა ქართლის ძეგლების ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხები / საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1993. 120 გვ.
2. თბილისი: არქეოლოგიური ძეგლები: ტ. I / რედაქტორი: რ. აბრამიშვილი; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია თბ., 1978. 214 გვ.
3. კვიციანი გ., მურვანიძე ბ., ნიკოლაიშვილი ვ., ორჯონიკიძე ა., არქეოლოგიური გათხრები გრაკლიანის გორაზე 2009 წელს, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, №20, თბილისი, 2011. გვ 47.
4. ლიჩელი ვ., კულტურული და სავაჭრო ურთიერთობები ცენტრალურ ამერიკაში : (გრაკლიანი გორა) / Academia / აპ. ქუთათელაძის სახ. თბ. სახ-ფო სამხატვრო აკადემია - თბილისი, 2010. გვ 25–38.
5. მუსხელიშვილი დ., ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1978. 108 გვ.
6. Licheli V., 2017. Intellectual innovations in Georgia (11th-9th cc BC) // Contact zones of Europe from the 3rd mill. BC to the 1st mill. AD. Preliminary publications of conference proceedings. International scientific conference. Moscow, 29 September - 2 October, 2017. P. 83-88.
7. The Britannica Guide to Numbers and Measurement / Ed. by William L. Hosch. 1st ed. New York: Britannica Educational Publishing, 2011. 288 p.

გამოყენებული კერამიკული მასალის აღწერილობა

(კერამიკა დანომრილია ცდის მიმდინარეობისას მინიჭებული ნუმერაციით)

1. დოქი, თიხის. მოჩალისფროდ გამომწვარი. ხაოიანი. პირი – გადაშლილი, ყელი – მაღალი, მუცელი – ბიკონუსური, ძირი – ბრტყელი. პირსა და მუცელზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. ჭურჭლის სიმაღლე – 21 სმ, პირის დიამეტრი – 9–10 სმ, ძირის დიამეტრი – 9 სმ, ყურის დიამეტრი - 1,5 სმ.
2. დოქი, თიხის. მოჩალისფროდ გამომწვარი. ხაოიანი. პირი – გადაშლილი, ყელი – მაღალი, მუცელი – სფერული, ძირი – ბრტყელი. პირსა და მუცელზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. ყელზე და მუცელზე შემოუყვება წითელი საღებავით შესრულებული პარალელური ზოლი, ხოლო მათ შორის შემკულია წითელი საღებავით შესრულებული ბადისებრი სამკუთხედებით. ჭურჭლის სიმაღლე – 24 სმ, პირი დაზიანებულია, ძირის დიამეტრი – 11 სმ, ყურის დიამეტრი - 2 სმ.
3. დოქი, თიხის. მოჩალისფროდ გამომწვარი. ზედაპირი გლუვი, შიდა პირი ხაოიანი. პირი – გადაშლილი, სამტუჩა, ყელი – მაღალი, მუცელი – სფერული, ძირი – ბრტყელი. პირსა და მუცელზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. ზედაპირი დაფარულია წითელი საღებავით. ჭურჭლის სიმაღლე – 25,5 სმ, პირის დიამეტრი - 8-10სმ, ძირის დიამეტრი – 12 სმ, ყურის დიამეტრი - 1,9 სმ.
4. დოქი, თიხის. მოჩალისფროდ გამომწვარი. ზედაპირი გლუვი, შიდა პირი ხაოიანი. პირი – გადაშლილი, ყელი – მაღალი, მუცელი – ბიკონუსური, ძირი – ბრტყელი. პირსა და მუცელზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. ზედაპირი დაფარულია წითელი საღებავით. ჭურჭლის სიმაღლე – 21,5 სმ, პირი დაზიანებულია, ძირის დიამეტრი – 11 სმ, ყურის დიამეტრი - 2 სმ.
5. ხელადა, თიხის. მოჩალისფროდ გამომწვარი. ზედაპირი გლუვი, შიდა პირი ხაოიანი. პირი – გადაშლილი, ყელი – მაღალი, მუცელი – მსხლისებრი, ძირი – ბრტყელი. პირსა და მუცელზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. ჭურჭლის სიმაღლე – 13,3 სმ, პირის დიამეტრი - 4,5-4,8 სმ, ძირის დიამეტრი – 7,7 სმ, ყურის დიამეტრი - 1,4 სმ.

6. თიხის ჭურჭელი, სავარაუდოდ სასმისი. შავად გამომწვარი. ზედაპირი გლუვი, შიდა პირი ხაოიანი. პირი – გადაშლილი, ყელი – დაბალი, მუცელი – ბიკონუსური, ძირი – ბრტყელი. მუცელზე მიძერწილია ოვალურგანივკვეთიანი ყური, რომელსაც ზემოდან აქვს დაბრტყელებული დანაძერწი. პირსა და ყელზე შემოუყვება ამოდარული ჰორიზონტალური ზოლები. ჭურჭლის სიმაღლე – 9 სმ, პირის დიამეტრი – 7 სმ, ძირის დიამეტრი – 5 სმ, ყურის დიამეტრი – 0,9-1,6 სმ.

7. დოქი, თიხის. მოჩალისფროდ გამომწვარი. ზედაპირი გლუვი, შიდა პირი ხაოიანი. პირი – გადაშლილი, ყელი – მაღალი, მუცელი – სფერული, ძირი – ბრტყელი. პირსა და მუცელზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. ყურს პირთან გადაბმის ადგილზე აქვს ორი კოპისებრი დანაძერწი. ჭურჭლის სიმაღლე – 24 სმ, პირის დიამეტრი – 9,5–10,8 სმ, ძირის დიამეტრი – 12 სმ, ყურის დიამეტრი – 1,7 სმ.

8. დოქი, თიხის. მოჩალისფროდ გამომწვარი. ზედაპირი მცირედ ნაპრიალები, შიდა პირი გლუვი. პირი – გადაშლილი, ყელი – დაბალი, მუცელი – სფერული, ძირი – ბრტყელი. პირსა და მუცელზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. ყელზე შემოუყვება წითელი საღებავით შესრულებული 6 პარალელური ზოლი, ხოლო მუცელი შემკულია წითელი საღებავით შესრულებული ბადისებრი სამკუთხედებით. ჭურჭლის სიმაღლე – 21,5 სმ, პირის დიამეტრი – 8 სმ, ძირის დიამეტრი – 10 სმ, ყურის დიამეტრი – 1,9 სმ.

9. დოქი, თიხის. მოჩალისფროდ გამომწვარი. გლუვი. პირი – გადაშლილი, ყელი – მაღალი, მუცელი – სფერული, ძირი – ბრტყელი. ყელსა და მუცელზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. ზედაპირი წითელი საღებავითაა დაფარული. ჭურჭლის სიმაღლე – 23 სმ, ძირის დიამეტრი – 11 სმ. ყურის დიამეტრი – 1,7 სმ. პირისა და ყელის ნაწილი ჩამომტვრეული აქვს.

10. სურა, თიხის. მოყავისფროდ გამომწვარი. ზედაპირი გლუვი, შიდა პირი ხაოიანი. პირი – გადაშლილი, ყელი – მაღალი, მუცელი – ბიკონუსური, ძირი – ბრტყელი. პირსა და მუცელზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. ჭურჭლის სიმაღლე – 18 სმ, პირი დაზიანებულია, ძირის დიამეტრი – 6,5 სმ, ყურის დიამეტრი – 1,8 სმ.

11. ქოთანნი, თიხის. მორუხოდ გამომწვარი. ზედაპირი გლუვი, შიდა პირი ხაოიანი. პირი – ოდნავ გადაშლილი, ყელი – დაბალი, მუცელი – ბიკონუსური, ძირი – ბრტყელი. პირსა და მუცელზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური, ზომორფული დანაძერწით. ჭურჭლის სიმაღლე – 16,5 სმ, პირის დიამეტრი - 12 სმ, ძირის დიამეტრი – 5,8 სმ, ყურის დიამეტრი - 1,7 სმ.

12. დოქი, თიხის. მოჩალისფროდ გამომწვარი. გლუვი. პირი – გადაშლილი, ყელი – მაღალი, მუცელი – სფერული, ძირი – ბრტყელი. ყელსა და მუცელზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. ყელზე შემოუყვება წითელი საღებავით შესრულებული ჰორიზონტალური ზოლები, ხოლო მუცელზე ასევე წითელი საღებავით შესრულებულია ირმის გამოსახულებები. ჭურჭლის სიმაღლე – 20,5 სმ, პირის დიამეტრი – 7–7,2 სმ, ძირის დიამეტრი – 12 სმ, ყურის დიამეტრი - 1,5 სმ. პირისა და ყურის გარკვეული ნაწილი დაზიანებულია.

13. ხელადა, თიხის. მორუხო-მოყავისფროდ გამომწვარი. ზედაპირი ოდნავ ნაპრიალები, შიდა პირი ხაოიანი. პირი – გადაშლილი, ყელი – მაღალი, მუცელი – სფეროსებრი, ძირი – ბრტყელი. ყელზე და მუცელზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. ჭურჭლის სიმაღლე – 19 სმ, პირის დიამეტრი - 8,5 სმ, ძირის დიამეტრი – 11 სმ, ყურის დიამეტრი - 1,5 სმ.

14. დოქი, თიხის. მოწითალო-მოჩალისფროდ გამომწვარი. გლუვი. პირი – გადაშლილი, ყელი – მაღალი, მუცელი – სფერული, ძირი – ბრტყელი. პირსა და მუცელზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. ზედაპირი დაფარულია მოწითალო-მოყავისფრო საღებავით. ჭურჭლის სიმაღლე – 25,5 სმ, პირის დიამეტრი – 10,5 სმ, ძირის დიამეტრი – 12,5 სმ, ყურის დიამეტრი - 2,2 სმ.

15. ხელადა, თიხის. მოჩალისფროდ გამომწვარი. ხაოიანი. პირი – გადაშლილი, ყელი – მაღალი, მუცელი – სფეროსებრი, ძირი – ბრტყელი. პირსა და მუცელზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. ჭურჭლის სიმაღლე – 28 სმ, პირის დიამეტრი - 10-11 სმ, ძირის დიამეტრი – 15,5 სმ, ყურის დიამეტრი - 1,8 სმ.

16. ფიალა, თიხის. შავად გამომწვარი. ზედაპირი გლუვი. პირი – გადაშლილი, მუცელი – ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული, ძირი – ბრტყელი. ჭურჭლის სიმაღლე – 9 სმ, პირის დიამეტრი - 36 სმ, ძირის დიამეტრი – 9 სმ.

17. დოქი, თიხის. მოჩალისფროდ გამომწვარი. ზედაპირი გლუვი, შიდა პირი ხაოიანი. პირი – გადაშლილი, სამტუჩა, ყელი – მაღალი, მუცელი – სფერული, ძირი – ბრტყელი. პირსა და მუცელზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. ზედაპირი დაფარულია წითელი საღებავით. ჭურჭლის სიმაღლე – 36 სმ, პირის დიამეტრი - 11,5-12,5 სმ, ძირის დიამეტრი – 14 სმ, ყურის დიამეტრი - 2,3 სმ.

18. სარიტუალო კოჭობი, თიხის. შავად გამომწვარი. ზედაპირი გლუვი, შიდა პირი ხაოიანი. პირი – ოდნავ გადაშლილი, ყელი – დაბალი, მუცელი – სფერული, ძირი – ბრტყელი. მუცელზე მიძერწილია ოვალურგანივკვეთიანი, ჰორიზონტალურად განზიდული ყური. ყელთან შემოუყვება ირიბი ჭდეებით შესრულებული ჰორიზონტალური ზოლი. ჭურჭლის სიმაღლე – 10,2 სმ, პირის დიამეტრი - 7,8-8სმ, ძირის დიამეტრი – 5,3 სმ, ყურის დიამეტრი - 1,4-3,2 სმ.

19. ჯამ-ფიალა, თიხის მოჩალისფროდ გამომწვარი. გლუვი. პირი –გადაშლილი, ყელი – მაღალი, ძირი – ოდნავ მომრგვალებული. ირგვლივ შემოუყვება ვერტიკალური შვერილები. ჭურჭლის სიმაღლე – 6,7 სმ, პირის დიამეტრი – 14 სმ, ძირის დიამეტრი – 6,5 სმ.

20. ხელადა, თიხის. მოჩალისფროდ გამომწვარი. ზედაპირი ოდნავ ნაპრიალები, შიდა პირი ხაოიანი. პირი – გადაშლილი, ყელი – მაღალი, მუცელი – სფერული, ძირი – ბრტყელი. ყელსა და მუცელზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური კოპებიანი დანაძერწით. ჭურჭლის სიმაღლე – 16 სმ, პირის დიამეტრი - 6,3 სმ, ძირის დიამეტრი – 7,7 სმ, ყურის დიამეტრი - 1,5 სმ.

21. კოჭობი, თიხის. მოჩალისფროდ გამომწვარი. ხაოიანი. პირი – გადაშლილი, ყელი – მაღალი, მუცელი – ბიკონუსური, ძირი – ბრტყელი. მუცელზე მიძერწილია ოვალურგანივკვეთიანი ყური. ჭურჭლის სიმაღლე – 9,3 სმ, პირის დიამეტრი - 8სმ, ძირის დიამეტრი – 6 სმ, ყურის დიამეტრი - 0,6-1,5 სმ.

22. სურა, თიხის. მოყავისფროდ გამომწვარი. ზედაპირი ოდნავ ნაპრიალები, შიდა პირი ხაოიანი. პირი – გადაშლილი, ყელი – მაღალი, მუცელი – ბიკონუსური, ძირი – ბრტყელი. ყელსა და მუცელზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. ჭურჭლის სიმაღლე – 20 სმ, პირის დიამეტრი - 5,7სმ, ძირის დიამეტრი – 6-6,2 სმ, ყურის დიამეტრი - 1,5 სმ.

23. ხელადა, თიხის. მოჩალისფროდ გამომწვარი. ხაოიანი. პირი – გადაშლილი, ყელი – მაღალი, მუცელი – ბიკონუსური, ძირი – ბრტყელი. პირსა და მუცელზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. ყურს პირთან გადაბმის ადგილზე აქვს კოპისებრი დანაძერწი. ჭურჭლის სიმაღლე – 11,7 სმ, პირის დიამეტრი – 6,7–7 სმ, ძირის დიამეტრი – 6,5–6,7 სმ, ყურის დიამეტრი - 1,2-1,4 სმ.

24. კოჭობი, თიხის. მორუხო-მოყავისფროდ გამომწვარი. ზედაპირი გლუვი, შიდა პირი ხაოიანი. პირი – გადაშლილი, ყელი – მაღალი, მუცელი – სფერული, ძირი – ბრტყელი. ჭურჭლის სიმაღლე – 9,2 სმ, პირის დიამეტრი - 8,7 სმ, ძირის დიამეტრი – 7,3 სმ.

25. ქოთანი, თიხის. არათანაბრად (მოშავო-მოყავისფროდ) გამომწვარი. ზედაპირი გლუვი, შიდა პირი ოდნავ ხაოიანი. პირი – გადაშლილი, ყელი – დაბალი მუცელი – სფერული, ძირი – ბრტყელი. მუცელზე ვერტიკალურად მიძერწილი აქვს ოვალურგანივკვეთიანი ყური. მხარზე შემოუყვება ორი პარალელური, წნეხვით დატანილი ზოლი, რომელთა შორისაც ჩასმულია აგრეთვე წნეხვით დატანილი ტეხილისებრი ორნამენტი. ჭურჭლის სიმაღლე – 11 სმ, პირის დიამეტრი – 9,2 სმ, ძირის დიამეტრი – 8,3 სმ, ყურის დიამეტრი - 1,1-1,5 სმ.

26. კოჭობი, თიხის. მორუხო-მოყავისფროდ გამომწვარი. ზედაპირი გლუვი, შიდა პირი ხაოიანი. პირი – გადაშლილი, ყელი – დაბალი, მუცელი – სფერული, ძირი – ბრტყელი. ჭურჭლის სიმაღლე – 9,5 სმ, პირის დიამეტრი - 7 სმ, ძირის დიამეტრი – 6 სმ.

27. ხელადა, თიხის. მონაცრისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი. ზედაპირი გლუვი, შიდა პირი ხაოიანი. პირი – გადაშლილი, ყელი – მაღალი, მუცელი – სფერული, ძირი – ბრტყელი. პირსა და მუცელზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. ჭურჭლის სიმაღლე – 19 სმ, პირის დიამეტრი – 9 სმ, ძირის დიამეტრი – 9,3 სმ, ყურის დიამეტრი - 1,6 სმ. პირი ოდნავ დაზიანებულია.

28. ხელადა, თიხის. მოჩალისფროდ გამომწვარი. გლუვი. პირი – გადაშლილი, ყელი – დაბალი, მუცელი – სფერული, ძირი – ბრტყელი. პირსა და მუცელზე მიდერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. ჭურჭელი შემკულია ყავისფერი საღებავით შესრულებული გეომეტრიული კომპოზიციით. ჭურჭლის სიმაღლე – 12 სმ, პირის დიამეტრი – 5,2 სმ, მუცლის დიამეტრი – 12 სმ, ძირის დიამეტრი – 7,3 სმ. პირის ერთი ნაწილი მომტვრეული აქვს.

29. ხელადა, თიხის. მოჩალისფროდ გამომწვარი. ზედაპირი გლუვი, შიდა პირი ხაოიანი. პირი – გადაშლილი, ყელი – მაღალი, მუცელი – სფერული, ძირი – ბრტყელი. პირსა და მუცელზე მიდერწილია მრგვალგანივკვეთიანი, შუაში გამრუდებული ყური, ორი კოპისებრი დანაპერწით. ჭურჭლის სიმაღლე – 14,5 სმ, პირის დიამეტრი – 6,5-7 სმ, ძირის დიამეტრი – 7,5 სმ, ყურის დიამეტრი - 1-1,2 სმ.

30. სამფეხა, თიხის. მოჩალისფროდ გამომწვარი. გლუვი. პირი – გადაშლილი, ყელი – მაღალი, ძირი – ბრტყელი. კალთაზე გადასვლის ადგილას იკეთებს წიბოს. ჭურჭელი მთლიანად წითელი საღებავითაა დაფარული. ჭურჭლის სიმაღლე – 6,5 სმ, პირის დიამეტრი – 15 სმ.

31. ჯამ–ფიალა, თიხის. მოჩალისფროდ გამომწვარი. გლუვი. პირი – გადაშლილი, ყელი – მაღალი, ძირი – მომრგვალებული. ჭურჭელი მთლიანად წითელი საღებავითაა დაფარული, ძირი შიგნიდან შემკულია კონცენტრული რელიეფური წრეებით. ჭურჭლის სიმაღლე – 4,5 სმ, პირის დიამეტრი – 14,5–15 სმ.

32. ჯამ–ფიალა, თიხის. მოჩალისფროდ გამომწვარი. გლუვი. პირი – გადაშლილი, ყელი – მაღალი, ძირი – ბრტყელი. კალთაზე გადასვლის ადგილას იკეთებს წიბოს. ჭურჭელი მთლიანად წითელი საღებავითაა დაფარული. ჭურჭლის სიმაღლე – 3,5 სმ, პირის დიამეტრი – 10,3-11 სმ, ძირის დიამეტრი – 6,5 სმ.

33. ქოთანი, თიხის. მორუხოდ გამომწვარი. ზედაპირი გლუვი, შიდა პირი ხაოიანი. პირი – გადაშლილი, ყელი – დაბალი, მუცელი – სფერული, ძირი – ბრტყელი. დაუყვება წნეხვით დატანილი ვერტიკალური ზოლები. ჭურჭლის სიმაღლე – 11 სმ, პირის დიამეტრი - 9 სმ, ძირის დიამეტრი – 8-8,2 სმ.

34. ხელადა, თიხის. მოყავისფროდ გამომწვარი. ზედაპირი გლუვი, შიდა პირი ხაოიანი. პირი – ოდნავ გადაშლილი, ყელი – მაღალი, მუცელი – სფერული, ძირი – ბრტყელი. პირსა და მუცელზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. მუცელზე აქვს სამი კოპისებრი დანაძერწი, ყელზე შემოუყვება ჰორიზონტალური ნაკაწრი ზოლები. ჭურჭლის სიმაღლე – 17,5 სმ, პირის დიამეტრი – 8 სმ, ძირის დიამეტრი – 9-9,5 სმ, ყურის დიამეტრი - 1,8-2 სმ.

35. ქილა, თიხის. შავად გამომწვარი. ზედაპირი გლუვი, შიდა პირი ხაოიანი. პირი – გადაშლილი, ყელი – დაბალი, მუცელი – ცილინდრული, ძირი – ბრტყელი. ყელთან შემოუყვება ჰორიზონტალური ამოდარული ზოლები. ჭურჭლის სიმაღლე – 12 სმ, პირის დიამეტრი – 6,2 სმ, ძირის დიამეტრი – 4,5 სმ.

36. ხელადა, თიხის. მოჩალისფროდ გამომწვარი. ზედაპირი გლუვი, შიდა პირი ხაოიანი. პირი – გადაშლილი, ყელი – მაღალი, მუცელი – სფერული, ძირი – ბრტყელი. პირსა და მუცელზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. ზედაპირი დაფარულია წითელი საღებავით. ჭურჭლის სიმაღლე – 16 სმ, პირის დიამეტრი – 6 სმ, ძირის დიამეტრი – 7,5-8 სმ, ყურის დიამეტრი - 1,6 სმ.

37. ქოთანი, თიხის. მოჩალისფროდ გამომწვარი. ზედაპირი გლუვი, შიდა პირი ხაოიანი. პირი – ოდნავ გადაშლილი, ყელი – დაბალი, მუცელი – სფერული, ძირი – ბრტყელი. ყელზე და მუცელზე მიძერწილი აქვს ოვალურგანივკვეთიანი ყური. ზედაპირი დაფარულია წითელი საღებავით. ჭურჭლის სიმაღლე – 10,5 სმ, პირის დიამეტრი – 10-10,2 სმ, ძირის დიამეტრი – 6 სმ, ყურის დიამეტრი - 1,1-1,5 სმ.

38. ხელადა, თიხის. მოჩალისფროდ გამომწვარი. ზედაპირი ნაპრიალები, შიდა პირი გლუვი. პირი – გადაშლილი, ყელი – მაღალი, მუცელი – სფერული, ძირი – ბრტყელი. პირსა და მუცელზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური, კოპისებრი დანაძერწით. ზედაპირი წითელი საღებავითაა დაფარული, მუცელზე შემოუყვება ჰორიზონტალური ამოდარული ზოლები, რომელთა შორისაც დატანილია თითის ანაბეჭდისებრი ჩაღრმავებები, ჭურჭლის სიმაღლე – 11,5 სმ, პირის დიამეტრი – 7,5 სმ, ძირის დიამეტრი – 4,5 სმ, ყურის დიამეტრი - 1,4 სმ.

39. ქოთანნი, თიხის. მორუხოდ გამომწვარი. ზედაპირი გლუვი, შიდა პირი ხაოიანი. პირი – ოდნავ გადაშლილი, ყელი – დაბალი, მუცელი – სფერული, ძირი – ბრტყელი. პირზე და მუცელზე მიძერწილი აქვს მრგვალგანივკვეთიანი ყური. ჭურჭლის სიმაღლე – 10 სმ, პირის დიამეტრი – 10 სმ, ძირის დიამეტრი – 8 სმ, ყურის დიამეტრი - 1,5-1,7 სმ.

40. ქოთანნი, თიხის. მოჩალისფროდ გამომწვარი. ზედაპირი გლუვი, შიდა პირი ხაოიანი. პირი – გადაშლილი, ყელი – დაბალი, მუცელი – სფერული, ძირი – ბრტყელი. მუცელზე მიძერწილი აქვს მრგვალგანივკვეთიანი ყური. ჭურჭლის სიმაღლე – 11 სმ, პირის დიამეტრი – 8,2-8,4 სმ, ძირის დიამეტრი – 7,6 სმ, ყურის დიამეტრი - 1,1-1,3 სმ.

41. ხელადა, თიხის. მოჩალისფროდ გამომწვარი. ზედაპირი ოდნავ ნაპრიალები, შიდა პირი გლუვი. პირი – გადაშლილი, ყელი – მაღალი, მუცელი – სფერული, ძირი – ბრტყელი. ყელზე შემოუყვება ჰორიზონტალური რელიეფური ზოლი. ჭურჭლის სიმაღლე – 15,5 სმ, პირის დიამეტრი – 7,2 სმ, ძირის დიამეტრი – 7 სმ.

